საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 166 (968) პარასკევი, 16 სექტემბერი, 1994 წელი. ფასი 70000 კუპონი

უარდ შევარდნაძისა და ბორის ცინის სატელეფონო საუბარი

ქტემბერს, შუადღისას, გაიმართა საქართველოს პარლამენ-თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნა- რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის სატე- საუბარი, რომელიც შეეხო კონფლიქტების მოწესრიგებისა ხრივი ურთიერთობის უველაზე აქტუალურ საკითხებს. რმა ურთიერთგაგებისა და კონსტრუქციულობის ვითარებაში

ლმწიფოს მეთაურის პრესსამდივნი — საქინფორმი.

ალოდნელია ნავთობის შვნელოვანი მარაგის გამოვლენა

ართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შე- ინგლისური კომპანია „ჯეი კეი ეს ნავთობ-გაზის" გენერალურ ტორს დევიდ რობსონს, კომპანიის დირექტორს რასს ხამონდს. ვედრაზე განიხილეს ინგლისური კომპანიის მიერ დასავლეთ ველოში გაზისა და ნავთობის საინტენსიფიკაციო მუშაობა. აღი- რომ უახლოეს მომავალში ინგლისური კომპანია გეგმავს და- რების შემოტანას, რის შედეგადაც დაიწყება ახალი ჭაბურღი- გაბურღვა ხმელეთზე. დაწყებული სამუშაოების შედეგად ლოდ მოსალოდნელია ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგის გამოვ-

ელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნი — საქინფორმი.

მუნებათა სიგელების გადაცემა

სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიღებათა დარბაზში ის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კოჟო ვატანაბემ ველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს გადასცა უნებათა სიგელები, რომლითაც დასტურდება ბატონ ვატანაბეს უფ-ამოსილება საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა საქართველოში. ოგ გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ იაპონიის სა- ს წარმომადგენლები, საქართველოს მხრიდან ვიცე-პრემიერი თე- ზ ბასილია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირვე- მოადგილე მიხეილ უკლება და სხვა ოფიციალური პირები. ლჩმა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს გადასცა იაპონიის მთავრობის წყვეტილება საქართველოსათვის ჰუმანიტარული დახმარების გა- რებით გამოყოფის შესახებ, რაც ითვალისწინებს მედიკამენტებ- სამედიცინო აპარატურისა და სამედიცინო ექსტრემალური დახმარე- თვის საჭირო მოწყობილობებს. ხაზგასმით აღინიშნა ის გარემოება, იაპონიის მთავრობა მზად არის, კვლავაც გაუწიოს დახმარება უკიდებელ საქართველოს.

უმარმა აღნიშნა, რომ იაპონიის მთავრობა და ხალხი მაღალ შე- ებას აძლევს ბატონ ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას გაეროს ნერალური ასამბლეის 47-ე სესიაზე, სადაც მან მხარი დაუჭირა ია- ონიისა და გერმანიის გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრობად ღებას.

ატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმარს იმ ხმარებისათვის, რომელიც იაპონიის მთავრობამ გაუწია ჩვენს ყანას. ისაუბრა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკო- მიკურ ვითარებაზე და აღნიშნა, რომ რესპუბლიკა შედის სტაბი- ზაციის ფაზაში, შემუშავებულია ანტიკრიზისული პროგრამა, ხო- ციელდება ეკონომიკური რეფორმა, მთავრდება ქვეყნის კონსტიტუ- მუშაობა და საკანონმდებლო ბაზის შექმნა უცხოური ინვე- ტორების ინტერესების გათვალისწინებით, რაც საშუალებას მოგვ- , თანამშრომლობისათვის საზღვარგარეთის ბიზნესმენები მოვიზიდოთ.

• • •

ამ შეხვედრას შეუერთდა იაპონიის საქმიანი წრეების დელეგაცია „ტოკიოს" წარმომადგენლის კუროსაკას ხელმძღვანელობით. ბა- მა კუროსაკამ ორ ქვეყანას შორის საქმიანი ურთიერთობის შეფე- ხების სერიოზულ მიზეზად ინფორმაციის დეფიციტი დაასახელა. —უც- ელი ბიზნესმენების მიზიდვისათვის აუცილებელი პირობაა ობიექტ- ინფორმაციის მიწოდება, — განაცხადა სტუმარმა და აღნიშნა, მ ბანკ „ტოკიოს" დადებული აქვს სარესპონდენტო კონტრაქტი სა- თველოს ბანკებთან, რაც უფრო გააადვილებს ორი ქვეყნის თანა- შრომლობას სხვადასხვა სფეროში.

ატონმა ედუარდ შევარდნაძემ და იაპონიის ელჩმა იმედი გამოთქვეს, მ თანამშრომლობა საქართველოსა და იაპონიას შორის მომავალში ევე უფრო განმტკიცდება, კონტაქტები გაღრმავდება.

გ. შარაშიძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ღის შეკითხვა

ვენ ვწერთ, თქვენ ვერ კითხულობთ...

ს ორი კვირაა, განსაკუთრებით გახშირდა მკითხველთა სატელეფო- ზარები და საყვედურები: „საქართველოს რესპუბლიკას" ვერ ებულობთ, აგვიხსენით, რაშია საქმეო...

ჩვენი კორესპონდენტიც ადგა და ის ხალხი შეაწუხა, რომლებმაც ზუს- იციან ამ პრობლემის თავი და ბოლო.

ბეჟან სიხარულიძე, გამომცემლობა „სამშობლოს" დირექტორი:

— გვისაყვედურებენ, აბა, რა იქნება... სანახევროდაც ვერ ვბეჭდავთ ჩვენი გაზეთის ტირაჟს... გუშინწინ, მაგალითად, სულ 5.000 ეგ- ზემპლარი დაიბეჭდა... გამომცემლობას, დღეისთვის 800 ტონა ქაღალ-დის ვალი აქვს. ყოველი დილა იწყება მევალეების გასტუმრებით, კა- მათით, ხვეწნა-მუდარით...

ერთადერთი იმედი, ჯერჯერობით, არის სახელმწიფოს მეთაურის ბრძანება — 100 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ, რომლითაც ვიძენთ ქაღალდს და ოდნავ სულს მოვითქვამთ...

ვახტანგ სალიბეგაშვილი, რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მი-ნისტრის მოადგილე:

— ვერა და ვერ გადაწყდა საწვავის პრობლემა, ამიტომ, ძალზე ძნელებულია ჟურნალ-გაზეთების მიტანა ადგილებზე, განსაკუთრე-ბით — პერიფერიებში... რაც შეეხება თქვენს გაზეთს, ამ ბოლო დროს, უქაღალდობის გამო, მისმა ტირაჟმა ისე დაიკლო, რომ გა- ნაწილება გვიჭირს, ყველას ველარ ვწვდებით...

მორალი: ჩვენ ისევ დავწერთ და თქვენ კვლავ ვერ წაიკითხავთ.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი **იულია ფალიაშვილი.**

შეიქმნა იულია ფალიაშვილის დამკრძალავი კომისია პრემიერ-მინისტრის მოადგილის ირაკლი მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით.

პანაშვიდი გაიმართება 16 და 17 სექტემბერს, 16 საათზე, ჰერცენის ქუჩა, 1 (ა).

გამოსვენება 18 სექტემბერს, 13 საათზე, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიიდან.

დეპუტატები იწყებენ საქმიან კამათს



პარლამენტის სადაგი დღეები

საქინფორმი:

გეგმას კომისიებში განიხილავენ

ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად აუცილებელი მინიმალური საკანონმდებლო ბაზის უზრუნველსაყოფად საქართველოს პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზე რამდენიმე ათეული კანონი უნდა მიიღოს, განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა, რომელმაც 15 სექტემბრის სხდომაზე კოლეგებს წარუდგინა დადგენილების პროექტი პარლამენტის 1994 წლის საშემოდგომო სესიის კალენდარული სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.

კალენდარული გეგმა, როგორც ბატონმა რჩეულიშვილმა განმარტა, იმის პირველი ცდაა, რომ შეძლებისდაგვარად მოწესრიგდეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა, გამოირიცხოს ამა თუ იმ კანონის იმპულსური მიღების შემთხვევები. გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტიც, რომელსაც ისევე, როგორც პარლამენტს, მინიჭებული აქვს კანონშემოქმედებითი ინიციატივის უფლება.

გაითვალისწინა რა წარმოდგენილი კალენდარული გეგმის მასშტაბურობა, ვიცე-სპიკერმა პარლამენტარებს შესთავაზა დადგენილების პროექტის საფუძვლად მიღება და გეგმის სრულყოფის მიზნით საპარლამენტო კომისიებში მუშაობის გაგრძელება. პარლამენტმა ბატონ რჩეულიშვილის წინადადება მიიღო.

ამის შემდეგ სხდომა შეუდგა რეგლამენტის ახალი ვარიანტის მოსმენას, რომელიც წარმოადგინა პარლამენტის წევრმა ოთარ მელქაძემ. 5 მაისის სხდომაზე პირველი მოსმენით მიღების შემდეგ, რეგლამენტის ახალ ვარიანტზე მუშაობის პროცესში იურიდიულმა კომისიამ გაითვალისწინა პარლამენტართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და სწორედ ეს შევსებული ვარიანტი გააცნო კანონმდებლებს.

რეგლამენტის თაობაზე გამართული მსჯელობა საღამოს სხდომაზეც გაგრძელდა.

პარლამენტარებმა დაწვრილებით განიხილეს რეგლამენტის ყველა მუხლი, შეიტანეს ცვლილებები და დამატებები.

სხდომა გვიანობამდე გაგრძელდა.

ჩვენი კორესპონდენტი:

კევის ღეჭვა და სხდომიდან წასული დეპუტატი

ჩვენი საპარლამენტო კორესპონდენტი დაკვირვებებზე დაყრდნობით ადგენს „ჟურნალისტის სამახსოვროს". მისი წინადადებები კოლეგებისათვის ასეთია:

უნდა გახსოვდეს:

პარლამენტის სხდომების მსვლელობისას, ძალაუნებურად, თვალყურს გვადევნებენ დეპუტატები (რას იზამ, თვალი მოუსვენარია) რომ არ გავხდეთ მათი განერვიულებისა და შრომის ნაყოფიერების დაცემის მიზეზი.

ამიტომ დაუშვებელია:

კევის ცოხნა, შარვლით სიარული (რა თქმა უნდა ქალებისა), გადაჩურჩულება, გაღიმება, მით უფრო ირონიული (საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო), მიმიკით აღფრთოვანების გამოხატვა. მაშინაც კი, თუ დარბაზში, გაუგონარი რამ გავიგონეთ (მერე რა რომ ეს იშვიათად არ ხდება?).

არ უნდა დაგვავიწყდეს:

დეპუტატს შეუძლია (რა თქმა უნდა თუ ამის სურვილი აქვს და საკუთარი მორალიც ნებას აძლევს) ლექსი თქვას, იმღეროს, იყვიროს, იკივლოს, ისტერიკაში ჩავარდეს, ხელ-ფეხი აბრახუნოს, საცეკვაოდ გაიწიოს, იწუწნოს და უშვერად იგინოს...

აქედან გამომდინარე:

სატელევიზიო და რადიო გადაცემისა თუ საგაზეთო პუბლიკაციის მომზადების დროს დეპუტატთა ამ არასადეპუტატო გამოხდომებზე ყურადღებას მაინც და მაინც ნუ გავამახვილებთ, თუ...

ერთი სიტყვით ნალბანდობას ნუ დავიჩემებთ.

ნამდვილი ამბავი:

იმის გამო, რომ ერთმა ქალიშვილმა ჟურნალისტმა კევის ცოხნას თავი არა და არ დაანება, გაცეცხლებულმა დეპუტატმა თემურ სუმბათაშვილმა მას თავხედი უწოდა და 14 სექტემბრის სხდომა ნაადრევად დასტოვა.

შედეგი?

15 სექტემბრის სხდომაზე არცერთი ჟურნალისტი აღარ იცოხნებოდა. ამის მიუხედავად, ზოგიერთი დეპუტატი, ნელ-ნელა გაილალა დარბაზიდან და თერთმეტის ნახევარზე ძლივს შეკოწიწებულმა კვორუმმაც შუადღისას ჩაილურის წყალი დალია.

ხუმრობა იქით იყოს და თუ გავითვალისწინებთ, რაც გუშინდელ სხდომაზე სპიკერის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა თქვა, პარლამენტს საშემოდგომო სესიის პერიოდში, 30 პლენარულ სხდომაზე მისაღები აქვს 100 კანონი, 20-მდე კონვენციასთან შეერთება და კიდევ ბევრი დადგენილება, სახუმაროდ სულაც არ არის საქმე. თუნდაც იმიტომ, რომ ერთ კანონპროექტს პარლამენტარები, სულ მცირე, ორი მოსმენით მაინც იხილავენ, მაშინ ერთ სხდომაზე სამი, ოთხი კანონპროექტი უნდა განიხილონ... მერე?.. მერე კვორუმზეც ხომ საფიქრალია, რა იძლევა შეკრების გარანტიას? იქნებ ის სიახლე, გუშინ რომ დაადგინა პარლამენტმა: კვორუმი აუცილებელია დილით და საღამოს ხუთი საათისთვის.

როგორი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან დისციპლინას პარლამენტარები, დრო გამოაჩენს, არც ის დაიმალება, მოასწრებენ თუ არა იმ 100 კანონისა და მრავალი საჭირო დადგენილების მიღებას.

გუშინ კი, საშემოდგომო სესიის მესამე დღეს, მართალია, რეგლამენტის დამტკიცება ვერ მოხერხდა (თუმცა კვორუმი დღის მიწურულს იყო), სპიკერატმა დღე მაინც ნაყოფიერად ჩათვალა, რადგან საფუძვლიანად განიხილეს საშემოდგომო სესიის კალენდარული სამუშაო გეგმა და კენჭისყრამდე მივიდა უმნიშვნელოვანესი საკითხი — პარლამენტის რეგლამენტი.

დეპუტატებმა ასევე მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ თემურ ქორქოლიანისა და ირაკლი წერეთლის საქმე პროკურატურიდან გამოთხოვნილი მასალების საფუძველზე პარლამენტის იურიდიულმა, კანონიერებისა და მართლწესრიგის, ეთიკისა და პრივილეგიების კომისიებმა შეისწავლონ და დასკვნა ერთ კვირაში წარუდგინონ პარლამენტს.

საღამოს ექვსი საათისთვის ზოგიერთმა დეპუტატმა განცხადებებისათვის ორ-ორი წუთით დაიკავა ტრიბუნა. ძირითადად თავის გასაჭირზე გვიყვებოდნენ.

რუსუდან ლორთქიფანიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის" საპარლამენტო კორესპონდენტი.

ამომრჩევლის რეაქცია

ეგებ მთა არ დაიხუროს!

ასეთი ფიქრი აღძრა მწერალ გიორგი პაპუაშვილს საშემოდგომო სესიის პირველი სხდომის შემდეგ

როცა ღმერთმა ამირანი კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვა, მეტი სიფრთხილისათვის, ზედ მთა დაადგა. შვიდ წელიწადში ერთხელ იხსნება მთა მცირე ხნით. ამ პროცესს რაჭველი მონადირე შესწრებია ერთხელ. მიჯაჭვულ ბუმბერაზს თავისთან მიუხმია ეს მონადირე და დახმარება უთხოვია. აი, ეს ხმალი მომიტანეო, — უნიშნებია შორიახლოს დაგდებულ გორდა ხმალზე, — ჯაჭვს გავჭრი და გავთავისუფლდებიო. კაცს ძვრა ვერ უქნია ხმლისთვის. ამირანმა სთხოვა, — წადი და დიდი ჯაჭვი წამოიღე, ხარ-კამეჩს რითაც აბამენ გუთნეულში — ღვედს რომ ეძახიანო. თუ ვინმე დაგელაპარაკოს, ხმა არ გასცე და არც უკან მიიხედო, თორემ მთა დაიხურებაო.

კაცი მაშინვე შინ გაქცეულა, აუკიდია ღვედი და გამობრუნებულა. ამ დროს მისი ცოლი გამოსულა სახლიდან და უკითხავს, სად მიგაქვს ღვედიო? კაცს ხმა არ გაუცია. — სად მიგაქვს ღვედი, შე დასაბრმავებელოო?! — დაუძახია მეორედ, მაგრამ არც ამჯერად გაუცია კაცს პასუხი. ქალი განრისხებულა, დასდევნებია ქმარს, კალთაში ჩაბღაუჭებია და ლანძღვა-გინება აუტეხია: — სად მიგაქვს ღვედი, შე ასეთ-ისეთოო?! — დამეხსენ, დედაკაცოო! გამწყრალა კაცი და რისხვით მიბრუნებულა უკან, იქნებ უთავაზა კიდეც, მაგრამ ამით სასიკეთო ვერაფერი გაუკეთებია. და, როცა დანიშნულ ადგილზე მისულა, მთა უკვე დახურული დახვედრია. დაღონებული კაცი, ხელსაყრელი შემთხვევა რომ ვერ გამოიყენა და ამირანი ვერ გაათავისუფლა.

არ ვიცი, როდის მოხდა ეს ამბავი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ოთხმოცდაათიან წლებში ხელახლა გაიხსნა მთა და ხელახლა გამოჩნდა მიჯაჭვული ამირანი. შემთხვევის გამო, ეს პროცესი ყველაზე კარგად ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შენიშნა. მან მაშინვე აიკიდა ღვედი და მთას მიაშურა. ცოლი არაფერს ედავება, მაგრამ სხვები ედავებიან. ზოგი წინიდან ულობავს გზას, ზოგი უკანიდან ებღაუჭება, ზოგიერთები გვერდიდან ეჩიჩინებიან და ხმის ჩახლეჩამდე გაჰკივიან: — სად მიგაქვს ღვედიო? დააგდე ჯაჭვი! დაბრუნდი უკან! კისერზე ჯაჭვდაკიდებული ქვეყნის მეთაური კი თუმცა ძალზე დაიღალა, ოხრავს და კვნესის, მაინც არავის ეპასუხება და არც უკან იხედება, სანამ ამირანის დავალებას არ შეასრულებს. მაგრამ გაუძლებს კი ამდენ გამოცდას? ვაი, თუ მოთმინების ძაფი გაუწყდეს! ისეც არ იყოს, ფეხებში რომ ებლანდებიან, ამით სიარულს უძნელებენ, გვიანდება და ეგებ დაიხუროს კიდეც ის კარი, სანამ ჯაჭვს ამირანამდე მიიტანდეს.

ხალხო, თუ არ ვეხმარებით, ხელს მაინც ნუ ვუშლით ჯაჭვის ზიდვაში, რათა დროულად მიიტანოს დათქმულ ადგილზე, სანანებელი რომ არ გაგვიხდეს!

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

განიხილეს ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის საკითხები

14 სექტემბერს მინისტრთა კაბინეტმა თავის სხდომაზე მოისმინა ვიცე-პრემიერის თემურ ბასილიას ინფორმაცია რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობის შესახებ.

ინფორმაციის განხილვაში მონაწილეობდნენ ვიცე-პრემიერები ავთანდილ მარგიანი, ზურაბ კერვალიშვილი, ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე, ეკონომიკის მინისტრი ვლადიმერ პაპავა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი, მინისტრთა კაბინეტის სხვა წევრები და პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის სახელმწიფო კორპორაციის პრეზიდენტი ანზორ ბურჯანაძე.

კიდევ ერთხელ განიხილეს პურის ფასთან დაკავშირებული ყველა მომენტი. მიზანშეწონილად მიიჩნიეს სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც პურის ფასი განისაზღვრა 200 ათასი კუპონის ოდენობით.

ამასთანავე აღინიშნა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აღინიშნება ხელფასების, პენსიებისა და სხვადასხვა სახის მატერიალური დახმარების შეფერხებით გაცემის ფაქტები, რაზედაც პასუხი უნდა აგონ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა.

გადაწყდა, რომ მინისტრთა კაბინეტმა უახლოეს დღეებში სახელმწიფოს მეთაურს წარუდგინოს წინადადებები შესაბამისი ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ.

იმის გამო, რომ შეყოვნდა ფულის დროულად გაცემა, გადაწყდა — პურისა და საქალაქო ტრანსპორტის ახალ ფასებზე გადასვლა ნაცვლად 15 სექტემბრისა განხორციელდეს 17 სექტემბერს.

სამინისტროების, კომიტეტების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაევალათ პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ ხელფასების, პენსიებისა და მატერიალური დახმარების სხვადასხვა ფორმების გაცემა 16 სექტემბრამდე.

მოსახლეობას ვთხოვთ, ფულის გაცემის დაგვიანების ყველა კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით მიმართონ მინისტრთა კაბინეტს.

უმრავლესობის საბჭოს განცხადება

16 სექტემბერს, 11 საათზე პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართება საპარლამენტო ფრაქციათა კოალიცია „უმრავლესობის" საბჭოს გაფართოებული სხდომა, დღის წესრიგშია უმრავლესობის ფრაქციათა ლიდერების და კოალიციის საბჭოს წევრების შეხვედრა რესპუბლიკის სამართალდამცავი და ძალოვანი სამსახურების პირველ ხელმძღვანელებთან.

შეხვედრის მიზანია ეკონომიკურ რეფორმასთან დაკავშირებული უმწვავესი და გადაუდებელი სოციალური და სამართლებრივი პრობლემების ერთობლივი განხილვა.

საუბარი იაპონიის ელჩთან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ მიიღო იაპონიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ვატანაბე. მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე აზრთა ურთიერთგაზიარების შემდეგ ბატონმა ვახტანგ გოგუაძემ ელჩს გააცნო საქართველოში შექმნილი ეკონომიკურ-პოლიტიკური ვითარება, გაუზიარა პარლამენტის მუშაობის გამოცდილება.

ბატონმა ვატანაბემ ისაუბრა იაპონიის დღევანდელ ვითარებაზე.

აღინიშნა, რომ ჩვენს ქვეყნებს აქვთ ურთიერთთანამშრომლობის ინტერესთა ფართო სფერო, რაც კულტურების, ხალხების დაახლოებას უწყობს ხელს. ეს კონტაქტები სასიკეთოდ წაადგება ორივე ქვეყანას.

თაყვანისცემა და მადლიერება

ნინო თბილისურ სცენაზე.

მშობელი ხალხის გულის სითბოს, ამ ყვავილების ზღვას, სულ სხვა ფასი აქვს ახალგაზრდა პრიმაბალერინასათვის, ჩვენი ნინო ანანიაშვილისათვის... ალალი იყოს!

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მერვე სვეტი

საქინფორმის ლენტიდან

ვიზიტად ჰააგაში

ჰოლანდიის ცნობილი კომპანიების „ფილიპსისა" და „ჰეინეკენის" ხელმძღვანელობის მიწვევით ჰააგაში გაფრინდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიქვაიძე, რომელიც მათთან გამართავს მოლაპარაკებას ქართველ პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარების მიზნით. ვიზიტის დროს ალექსანდრე ჩიქვაიძე შეხვდება ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტს ვან დერ ბრუკს და მასთან ერთად, განიხილავს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მხრივ საქართველოსათვის შემდგომი დახმარების გაწევის შესაძლებლობებს.

კვლავ ქართველებს ადანაშაულებენ

აფხაზური საინფორმაციო სამსახურები კვლავინდებურად დიდ ყურადღებას უთმობენ ორი რუსეთელი მშვიდობისმყოფელი ოფიცრის მკვლელობის ფაქტს, რომელიც ჩადენილია ორშაბათს გალის რაიონის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში. 13 სექტემბერს, საღამოს, აფხაზური ტელევიზია იუწყებოდა, რომ აფხაზეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა „ცისფერი ჩაფხუტიანების" სარეზერვო ჯგუფთან ერთად გაჩხრიკეს ადგილი გალის რაიონში იმათი კვალის გამოვლენის მიზნით, ვინც ჩაიდინა ორი რუსეთელი მშვიდობისმყოფელი ოფიცრის მკვლელობა.

აფხაზური რადიო და ტელევიზია კვლავ ცდილობენ მომხდარში დაადანაშაულონ საქართველოს მხარე. მართალია, აფხაზ წარმომადგენლებს არ მოჰყავთ (უფრო ზუსტად, ვერ მოჰყავთ) ვერავითარი ფაქტები და არგუმენტები თავიანთ მტკიცებათა დასადასტურებლად.

ამასობაში, 18 სექტემბერს, აფხაზური ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემაში ნათქვამი იყო, რომ გალის რაიონში რუსეთელ ოფიცერთა მკვლელობის დღეს ამ აქტის მოხდენიდან ცოტა ხნის შემდეგ „უცნობმა პირებმა გალის რაიონში ცეცხლი დაუშინეს აფხაზური პოლიციის თანამშრომლებს". შემთხვევის ადგილზე, თურმე, გაემგზავრა პოლიციის რაზმი გალიდან, მაგრამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინეს. იქნებ, არც კი უცდიათ ეძებათ ბრალეულნი, მით უმეტეს, რომ თვითმხილველნი ამტკიცებენ, რომ აფხაზურ პოლიციას თვით აფხაზები ესროდნენ. და ყოველივე ეს მოხდა კრიმინოგენულ ნიადაგზე. ამასობაში აფხაზი სეპარატისტები განაგრძობენ პროპაგანდისტულ კამპანიას მშობლიურ კერებში ქართველ ლტოლვილთა დაბრუნების წინააღმდეგ.

ლაშა ბერულავა,
თენგიზ პაჭკორია.

გრაჩოვი გალში ჩასვლას აპირებს

რუსეთის თავდაცვის მინისტრს პაველ გრაჩოვს, ოთხშაბათს, ტელეფონით მოლაპარაკება ჰქონდა რუსეთელ სამხედროებთან აფხაზეთში. პაველ გრაჩოვმა, იუწყება „ნტვ" არხის ღამის ახალი პროგრამა, განაცხადა, რომ თუ საჭირო გახდება, აპირებს პირადად გაფრინდეს აფხაზეთში, რადგან წესრიგი დაამყაროს და ადგილზე გაერკვეს.

არძინბა, პრაქტიკულად თავისი მოქმედებით, თავისი ხელქვეითების მოქმედებით, ხელს უშლის ლტოლვილთა დაბრუნების დაწყებას. ეს აღნიშნულია, კერძოდ, გენერალ კონდრატიევის მოხსენებაში. დაბრუნების რაიონში, იუწყება იგი, გამოვიდა სამი ათასამდე აფხაზი ბოევიკი, რომელთა ამოცანა იყო არ დაეშვათ ლტოლვილების გადმოსვლა, — განაცხადა მინისტრმა.

ისევ აქცია?

აფხაზურმა ტელევიზიამ გადასცა ცნობა იმის შესახებ, რომ 14 სექტემბერს, სოხუმში, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, გამართონ ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციები ქართველ ლტოლვილთა დაბრუნების წინააღმდეგ.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

ყაზახეთის რესპუბლიკიდან სასურსათო ხორბლის შემოზიდვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ

ფირმა „მედიკოსის“ მიერ 1993 წელს კუსტანაის ოლქში მარცვლეულის ასაღებად გაწეული სამუშაოების შედეგად ყაზახეთმა საქართველოს 1993 წლის მოსავლიდან გამოუყო 200 ათასი ტონა სასურსათო ხორბლისა და 50 ათასი ტონა საფურაჟე მარცვლის კვოტები, რომელთაგან უკვე შემოტანილია და სახელმწიფოს გადაეცა 4000 ტონა სასურსათო ხორბალი.

ყაზახეთის რესპუბლიკიდან სასურსათო მარცვლის შეძენის უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 18 დეკემბრის განკარგულების შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მიღებულია სურსათის სამთავრობო კომისიის 1994 წლის 23 აგვისტოს სხდომაზე მიღებული წინადადება და, როგორც გამონაკლისი, ნება დაერთო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — ფირმა „მედიკოსს“ ზემოაღნიშნული განკარგულებით გამოყოფილი 3300 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადის მილის სანაცვლოდ გაიტანოს თურქეთის რესპუბლიკაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბივრიტისაგან“ 1994 წლის 4 აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი 30 ათასი ტონა ლითონის ჯართი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბივრიტას“ თავის მხრივ იგი შეძენილი აქვს ქ. არხანგელსკში) სარეალიზაციოდ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ოპერაციიდან მიღებული მოგება ფირმა „მედიკოსის“ მიერ გამოყენებული იქნება ყაზახეთის რესპუბლიკიდან სასურსათო ხორბლის შემოსატანად, რომელიც ჩაბარდება სახელმწიფოს შეღავათიან ფასებში.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტს, როგორც გამონაკლისი, დაევალა გაუფორმოს ფირმა „მედიკოსს“ საექსპორტო ლიცენზია 1 მილიონ 500 ათასი ამერიკული დოლარი საერთო ღირებულების 30 ათასი ტონა შავი ლითონის ჯართის გასატანად რეექსპორტით თურქეთის რესპუბლიკაში.

ფირმა „მედიკოსი“ ტვირთის საბაჟო გაფორმების დროს, როგორც გამონაკლისი, გათავისუფლდება საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან ზემოაღნიშნული და ყველა სხვა იმ ოპერაციების განხორციელებისას, რომლითაც რესპუბლიკაში შემოტანილი იქნება ხორბალი შეღავათიან ფასებში.

ინგუში ახალგაზრდები საქართველოში ისწავლიან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა თავისი დადგენილებით დააკმაყოფილა საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წინადადება და 1994-1995 სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ინგუში ახალგაზრდებისათვის გამოყო ექვსი ადგილი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების წლევანდელი მისაღები კონტინგენტის აუთვისებლობის ხარჯზე. კერძოდ, სამ-სამი ადგილია გამოყოფილი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ასევე დაკმაყოფილდა ინგუშეთის რესპუბლიკის მთავრობის თხოვნა, რომ მისაღები გამოცდები მოეწყოს ქალაქ ნაზრანში.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვა მოხდება ინგუშეთის რესპუბლიკის მთავრობის შუამდგომლობისა და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ბრძანების საფუძველზე.

მუშაობენ ვიცე-პრემიერები

14 სექტემბერს, საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა თამაზ ნადარეიშვილმა მიიღო ეკონომიკური ტრანსფერის სააგენტო ფირმა „დავიტის“ პრეზიდენტი და თანამფლობელი ბატონი ტორსტენ ბრაანი და თანამფლობელი გიზო ბლიაძე.

აღნიშნული ფირმა მუშაობს გერმანიაში და მზად არის შეასრულოს საქართველოს მთავრობის დავალებები.

ბატონ ტორსტენ ბრაანს მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე საჭიროა, საქართველოში ეკონომიკის აღმავლობა. ეკონომიკის გასაძლიერებლად გერმანიის მთავრობამ გამოჰყო დიდძალი თანხა, რომლის რეალიზებისათვის გვჭირდება საქართველოს მთავრობის ოფიციალური დავალება და ნდობა. — განაცხადა ტორსტენ ბრაანმა.

ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა თქვა, რომ მზად არის ფირმა „დავიტთან“ მჭიდრო და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

* * *

15 სექტემბერს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ზურაბ კერვალიშვილმა მიიღო გერმანიის ფირმა „სიმენსის“ ცენტრალური გამგეობის რეფერენტი შუა და აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნებში რუდოლფ ბერჩი და ფირმის სხვა წარმომადგენლები.

ფირმა „სიმენსი“ ერთ-ერთი უდიდესია გერმანიის ფირმებს შორის, რომელმაც ბოლო პერიოდში მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა საქართველოსთან. ფირმა ჩვენს ქვეყანაში ახორციელებს სამუშაოებს სხვადასხვა სფეროში, ამჟამად მიმდინარეობს ახალი ტელეკომუნიკაციების მშენებლობა, მუშავდება ფოთის ნავსადგურის სარეკონსტრუქციო პროექტი.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ავიაციის, ენერგეტიკის, სამედიცინო მომსახურებისა და სხვა სფეროებში არსებულ პრობლემებს.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ელდარ შენგელაია.

15 სექტემბერს ვიცე-პრემიერი ავთანდილ მარგიანი შეხვდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მე-4 დეპარტამენტის უფროსის შადმან ვალავის ხელმძღვანელობით.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი ზურაბ გეგეჭკორი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი, სხვა ოფიციალური პირები.

საუბარი შეეხო რესპუბლიკის აგროკომპლექსში არსებულ ვითარებას. აღინიშნა ფინანსური პრობლემებისა და მისი დაძლევის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, რასაც უახლოეს მომავალში სავალუტო ფონდის რეკომენდაციები გაითვალისწინებს.

ისაუბრეს პურის ფასის გაზრდის შესახებ, როგორც ბატონმა ვალავიმ განაცხადა, სავალუტო ფონდის რეკომენდაციების უცილობელი შესრულება ერთადერთი გზაა ჩვენი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობისაკენ. ნოემბრის ბოლოს ბატონი ვალავი შეხვდება უმაღლეს დირექტორთა საბჭოს და მიიღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებას საქართველოსათვის კრედიტის გამოყოფის თაობაზე.

ბატონმა ავთანდილ მარგიანმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა თავის მხრივ მზად არის შეასრულოს სავალუტო ფონდის ყოველი მოთხოვნა და შექმნას პირობები რეკომენდაციების შეუფერხებელი რეალიზაციისათვის.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური-საქინფორმი.

სამშვიდობო პროცესის დასამუხრუჭებლად მიმართული პროვოკაციული აქტი

როგორც ცნობილია, 12 სექტემბერს, გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებში ბოროტმოქმედებმა დაცხრილეს გზაზე მიმავალი ავტომანქანა, რომელშიც ისხდნენ სამშვიდობო ძალების სამხედრო მოსამსახურეები. თავდასხმის შედეგად დაიღუპა ორი და მძიმედ დაიჭრა ერთი ოფიცერი.

საქინფორმის კორესპონდენტმა ამ ფაქტის კომენტარი სთხოვა დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს გივი ლომინაძეს:

— აბსურდულია აფხაზი სეპარატისტების მცდელობა, გადააბრალონ ეს მკვლელობა ქართულ მხარეს, — თქვა ბატონმა გივი ლომინაძემ, — სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ მოქმედებს არც ერთი პარტიზანული დაჯგუფება, არ არიან არანაირი დივერსიული ჯგუფები. დღეს არც ერთ ქართველს — დაწყებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობით და დამთავრებული აფხაზეთიდან ლტოლვილებით, ხელს არ აძლევს რუსეთის ხელმძღვანელობასთან და რუსეთის სამშვიდობო ძალებთან ურთიერთობის გართულება. და ამის ერთ-ერთი საფუძველია ამ ბოლო დროს მათ მოქმედებაში, სამშვიდობო პროცესში გამოჩენილი პოზიტიური ძვრები. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურალიდან ახალი ბატალიონის ჩამოყვანას, რომელმაც აქტიური, ნამდვილი კონტროლი დააწესა და შეურიგებლად ებრძვის ბანდფორმირებებს. ბუნებრივია, ამ ბატალიონის შემოყვანა ჩვენთვის იმედის მომცემია, რადგანაც, მათ ჩამოსვლამდე იქ მყოფი ჯარები ვერ აკონტროლებდნენ სიტუაციას. მოვიყვან ბოლო ფაქტს: ურალის ბატალიონის ჩამოსვლამდე, მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში, გალის რაიონში, თოთხმეტი ადამიანი მოკლეს.

ლოგიკური დასკვნა ასეთია: თუ ეს ბატალიონი, რომლის მთავარი მიზანია, სამშვიდობო ოპერაციის განხორციელება, შეასრულებს თავის მოვალეობას — აღმოფხვრის ბანდიტიზმს და დაამყარებს წესრიგს, ამით იგი დააჩქარებს ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს. სწორედ ეს არ აძლევთ ხელს და არ მოსწონთ აფხაზ სეპარატისტებს. როგორც ცნობილია, აფხაზეთში არიან ძალები, რომლებიც წინააღმდეგი არიან ლტოლვილთა დაბრუნებისა, ორგანიზებულად იმართება ანტიქართული მიტინგები, სხვა აქციები და ა. შ.

დარწმუნებული ვარ, რომ გამოძიება დაადგენს ნამდვილ დამნაშავეებს, რომლებმაც ჩაიდინეს ეს მხეცური მკვლელობა და ისინი სათანადოდ დაისჯებიან. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონს ჯერჯერობით ვერ ვაკონტროლებთ, საქართველოს ხელმძღვანელობა, სამართალდამცავი ორგანოები სამშვიდობო ძალებთან ერთად ყველაფერს იღონებენ, ამ ვანდალური აქტის გამოსააშკარავებლად.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, — თქვა საუბრის დასასრულს გივი ლომინაძემ, არავითარი დივერსიული ჯგუფები საქართველოს მხრიდან აფხაზეთში არ მოქმედებენ. პირიქით, ჩვენი მონაცემებით, ასეთი ბანდები ჰყავს გუდაუთის დაჯგუფებას, რომლის მითითებითაც ხდება მკვლელობები. ნიშანდობლივია, რომ სწორედ დღეს უნდა დაწყებულიყო ლტოლვილთა დიდი ჯგუფის დაბრუნება მშობლიურ ადგილებში და სწორედ ამ პროცესის ჩაშლას ისახავდა მიზნად ხსენებული ვანდალური აქტი.

როგორ ვუშველოთ საქართველოს?

ბათუმი — მთელი საქართველოსთვის

ჰექა-ქუხილის დროს ზღვას ცეცხლი წაეკიდებოდა. მეცნიერებმა აიღეს სინჯი და...

როგორც გვახსოვს, ჩვენი გაზეთის 30 აგვისტოს ნომერში პირველად მოგაწოდეთ ინფორმაცია ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ.

მაშინვე შეგპირდით ვრცელ რეპორტაჟსაც, რომელსაც, როგორც ვიცი, ინტერესით მოელის ჩვენი საზოგადოებრიობა.

ამ რამდენიმე კვირის წინათ ბათუმის ნავსადგურში უჩვეულო გემი — „პროფესორი ვოდიანიცკი“ შემოვიდა. უჩვეულოს იმიტომ მოგახსენებთ, რომ ეს საზღვაო ლაინერი მართლაც განსხვავდება სხვა გემებისაგან თავისი კომფიგურაციითა და აღჭურვილობით. იგი მსოფლიოში ცნობილი ხომალდი-ლაბორატორიაა, რომელიც იკვლევს ზღვის პრობლემებს. ხომალდი და მისი ეკიპაჟი უკრაინიდან მოიწვია ასლან აბაშიძის ფონდმა, რომელმაც ითავა ხელი შეეწყო ქართველი მეცნიერებისა და სპეციალისტებისათვის, პრაქტიკულად შეემოწმებინათ თავიანთი დიდი ხნის კვლევის შედეგები, ვარაუდი, რომელიც ითვალისწინებდა აჭარის სანაპიროს ზღვის აკვატორიაში ბუნებრივი გაზის დიდი საბადოს არსებობას.

და აი, ამ ორი კვირის წინათ ბათუმში, მდინარე ჭოროხის შესართავიდან ერთნახევარი მილის დაშორებით, 14 მეტრის სიღრმეზე ჩაშვებული სპეციალური კონსტრუქციის გაზშემკრებისა და საექსპერიმენტო მოწყობილობის მეშვეობით მოხდა სასწაული — „პროფესორ ვოდიანიცკის“ გემბანზე აინთო ბათუმის ზღვისქვეშეთში მდებარე ბუნებრივი გაზის საბადოს პირველი ჩირაღდანი.

ვერ წარმოიდგენთ რა სიხარულმა და აღტაცებამ დაისადგურა იმ წუთს გემბანზე.

— დღეს ნამდვილად მეორედ დავიბადე, — თქვა ჩვენმა სასიქადულო მწერალმა რევაზ ჯაფარიძემ.

— ეს ღვთის წყალობაა სიდუხჭირეში ჩავარდნილი საქართველოსათვის, — დასძინა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ, რომელსაც მეცნიერებმა და ხომალდის ეკიპაჟის წევრებმა, როგორც ამ ექსპედიციის სულისჩამდგმელს, მიართვეს აქვე ქართულ გაზზე სახელდახელოდ მოდუღებული პირველი ფინჯანი ყავა, რომლის ფასი განუზომელი იყო.

— მართლაც, დიდი საჩუქარი მოგცათ განგებამ, ახლა ის არის საქმე, როგორ გამოიყენებთ ამ სიკეთეს, — გვეუბნებოდა გემლაბორატორიის ხელმძღვანელი უკრაინელი მეცნიერი ვიქტორ ეგოროვი. ქართველ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად დიდებულად იშრომეს ამ აღმოჩენისათვის ჩვენმა უკრაინელმა მეგობრებმა — უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთის ზღვების ბიოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა, მყვინთავებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, იმისათვის, რომ ქართველი მეცნიერებისათვის მიეცათ შესაძლებლობა პრაქტიკულად დაედასტურებინათ თავიანთი მრავალწლიანი კვლევის შედეგები.

ამ სიხარულს, ცხადია, ყველაზე მეტად იზიარებდნენ ამ ექსპედიციის ქართველი მხარის ხელმძღვანელები: ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, შავი ზღვის აუზის კომისიის სახელმწიფო მრჩეველი, სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტის თანამშრომელი გელა ტყეშელაშვილი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აირმომარაგების კათედრის დოცენტი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი შოთა მესტვირიშვილი.

— **რით დაიწყო ეს ყველაფერი? — ვეკითხებით ბატონ გელა ტყეშელაშვილს:**

— დაიწყო იმით, რომ შარშან უკრაინელ კოლეგებთან ერთად მოვაწყვეთ პირველი სამეცნიერო ექსპედიცია შავი ზღვის საქართველოს აკვატორიაში ბუნებრივი აირების გამოკვლევის მიზნით. ამ კოლექტივს უკვე ჰქონდა ასეთი კვლევის გამოცდილება, რადგან ადრე ისინი სევასტოპოლის მიმდებარე შელფს სწავლობდნენ.

მაშინ ბათუმთან გაზის შემოდინების 8 კერა დავაფიქსირეთ, შემდეგ ექსპედიცია გავაგრძელეთ სუფსის კანიონში, სადაც რამდენიმე, მძლავრი კერა აღმოვაჩინეთ. ავიღეთ სინჯებიც, რომელშიც დაფიქსირდა შემდეგი სახის წვადი აირები: მეთანი — 94, ეთანი — 5, პროპანი 1 პროცენტი. გარდა ამისა დაფიქსირებულია ჰელიუმი, რაც აირების სიღრმისეულ წარმოშობას ადასტურებს.

ჩვენი წლევანდელი ექსპედიციის მორიგი ეტაპი ბატონ ასლან აბაშიძის ინიციატივითა და ხელშეწყობით დაიწყო წლეულს, 14 აგვისტოს და... როგორც ხედავთ, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გამოირკვა, რომ ბათუმის აკვატორია მდებარეობს აირების შემოდინების მძლავრ კერაზე, რომელიც გადაჭიმულია მდინარე ჭოროხის შესართავიდან მდინარე ყოროლისწყლის ტრავერსამდე. შემოდინების სიღრმეები იცვლება ათეული მეტრიდან რამდენიმე ასეულ მეტრამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ბათუმის აკვატორიაში საქმე გვაქვს ისეთ ზოლურ შემოდინებასთან, რომელიც გეოლოგიური რღვევის ხაზებს ემთხვევა. ცხადია, ეს ყველაფერი ვრცელ საუბარს მოითხოვს, ამჯერად კი გეტყვით, რომ საქმე გვაქვს ისეთ უნიკალურ შემთხვევასთან, რომელთანაც სუფსის კანიონი აჭარაში აღმოჩენილ კერებთან შედარებით, მეტად უმნიშვნელოდ გამოიყურება. შავი ზღვის აჭარის აკვატორიაში აღმოჩენილია გაზის შემოდინების 500-ზე მეტი უზარმაზარი კერა, რაც, ვფიქრობ, დიდ პერსპექტივას უსახავს არა მარტო ამ რეგიონს, სრულიად საქართველოსაც.

— **ახლა, რას ფიქრობთ, რა ვუყოთ ამ ღვთის წყალობას, როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი? — ვეკითხებით აირმომარაგების ცნობილ სპეციალისტს ბატონ შოთა მესტვირიშვილს.**

— არსებობს გაზის მოპოვების ორი გზა: — პირველი — ტრადიციული — ე. წ. ჭაბურღილის მეთოდი, მეორე — არატრადიციული, რომელიც უკვე დამუშავებული გვაქვს ქართველ მეცნიერებს და მას ანალოგი არ გააჩნია მსოფლიო პრაქტიკაში.

— **ბატონო შოთა, რაში გამოიხატება ეს მეთოდი?**

— ის ხვრელები, საიდანაც დღეს ზღვის ფსკერიდან ამოდის გაზი, თავისთავად მიკროჭაბურღილს წარმოადგენს და მასში გაზის მოძრაობის ინტენსიფიკაციის გზები დამუშავებულია. არის შესაძლებლობა ეს ბუნებრივი არხი-ჭაბურღილები გადავაქციოთ მძლავრ მოქმედ ჭაბურღილებად, მკვეთრად შევცვალოთ მასში აირის დინების რეჟიმი და მისი გამტარუნარიანობა ასჯერ და მეტად გავზარდოთ.

თუ როგორ ვიმოქმედოთ ამ პროცესზე „ზემოდან“, ეს უკვე ჩვენი — ქართველი მეცნიერების ე. წ. „ნოუჰაუ“ — პატარა საიდუმლო გახლავთ. ერთს კი დაბეჯითებით გეტყვით: უკვე ცნობილია და არსებობს აირნაკადების შეკრების მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც (ჯერჯერობით ე. წ. მიკროლაბორატორიული მასშტაბით) მოვახერხეთ აირის ნაკადის ამოყვანა „პროფესორ ვოდიანიცკის“ გემბანზე, რაც თვალნათლივ იხილეთ. ახლა იმაზე ვმუშაობთ, თუ როგორ გადავიტანოთ ეს მიკრომექანიზმი ფართო სამრეწველო მასშტაბებში, რომელიც უზრუნველყოფს ამ სიკეთის მიწოდებას ჩვენი ხალხის, ქვეყნის ეკონომიკისათვის.

ეს ჩვენი საუბარი იმ საზეიმო დღეს — გემბანზე პირველი ჩირაღდნის ანთების დღეს გაიმართა. მერე ქობულეთის ზღვის აკვატორიის გამოკვლევის შემდეგ „პროფესორი ვოდიანიცკი“ ბათუმის ნავსადგურს მოადგა. მეცნიერებმა ზღვის ფსკერზე აღებული სინჯები ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის ცნობილ ლაბორატორიაში მიიტანეს. დაიწყო გამოკვლევა.

აჭარის უზენაეს საბჭოში ამ ფაქტთან დაკავშირებით დიდი მიღება მოეწყო. აქ აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მოწვეული იყვნენ ბათუმის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები: ცნობილი მეცნიერები, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ჟურნალისტები.

— სიხარულს ვერ ვფარავ, — აღნიშნა ბატონმა ასლან აბაშიძემ, — ვულოცავ ამ დღეს ყველას, მთელ საქართველოს. მჯერა, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ ბათუმის აკვატორიაზე ანთებული გაზის ალს მალე მიიღებს ჩვენი მოსახლეობა და ბევრ პრობლემას მოხსნის. ახლა ჯერი ჩვენზეა, როგორ ვიმუშავებთ, როგორ შევუწყობთ ხელს ერთმანეთს ამ დიდ საქმეში. მადლობელი ვარ იმ სამეცნიერო ჯგუფისა, რომელმაც შეძლო დროის ამ მოკლე მონაკვეთში აღმოჩენის ლოგიკურად დასაბუთებული დოკუმენტების წარმოდგენა. მადლობელი ვარ ჩვენი უკრაინელი მეგობრების, ვინც დახმარებას უწევდა ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციას.

არასოდეს დამავიწყდება ეს დღე, სიხარულით, სიამაყით, იმედით სავსე სახეები... საერთო აღფრთოვანება და სიხარული. საკუთარი ბუნებრივი აირი ხომ ნამდვილი ხსნაა ჩვენი ეკონომიკისა და გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხისათვის. წარმოიდგინეთ, რამდენ თბოსადგურს, საწარმოს ჩაუდგამს იგი სულს. მარტო ის რად ღირს, რომ დაგვიდგება ჟამი, როცა არავინ დაგვაშინებს გაზსადენების გადაკეტვით. სწორედ ამაზე იყო საუბარი, როცა ბატონ ასლან აბაშიძეს ვთხოვე შეეფასებინა ეს მოვლენა.

— ჩემს ბავშვობაში ხშირად მინახავს, ჰექა-ქუხილის დროს თუ როგორ მოედებოდა ხოლმე ცეცხლის ალი ზღვის რომელიღაც მონაკვეთს. ასეთი სურათი უცხო არ ყოფილა ჩვენი წინაპრებისათვისაც, ბუნებრივი გაზის არსებობა შავი ზღვის აკვატორიაში კი ოფიციალურად 1989 წელს დააფიქსირეს უკრაინელმა მეცნიერებმა. შარშან მათ ქართველებიც შეუერთდნენ და კვლევა ბათუმიდან დაიწყეს. სიმართლე გითხრათ, რაც აჭარის ხელმძღვანელად ამირჩიეს და დავიწყე ადგილობრივი რესურსების შესწავლა, ამ თემაზეც მქონდა გამახვილებული ყურადღება, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო მას არ ჰქონდა კონკრეტული, გამოკვეთილი ხასიათი. ზღვაზე ავარდნილ ცეცხლს ადრე წყალში გოგირდწყალბადის დიდ შემცველობას მიაწერდნენ. ის კი არადა, იმასაც კი ამტკიცებდნენ, შავი ზღვის აუზის ქვეყნებს ეს დიდ საფრთხეს უქმნისო. ზოგი უზარმაზარ კატასტროფასაც კი გვიწინასწარმეტყველებდა. ბათუმში ყოველთვის იყო ასე: იქვე, ნაპირზე, უამრავი ბუშტი ამოდიოდა. აი ახლახან სულ რაღაც 1,5 მეტრ სიმაღლეზე აიღეს კიდეც ერთი სინჯი ჩვენმა მეცნიერებმა.

ამ საკითხის პრაქტიკულ სიბრტყეში გადატანას ხელი შეუწყო საქართველოს ტელევიზიამ. 16 ივნისს შინ გვიან მიბრუნებულს ჩემმა მეუღლემ სასიამოვნო ამბავი დამახვედრა — ჟურნალისტმა მერაბ ბერაძემ თავის გამოსვლაში თქვა, რომ ქართველი მეცნიერები ვარაუდობენ გაზის აღმოჩენას შავი ზღვის სანაპიროზე, მათ შორის ბათუმშიცო.

მაშინვე დავუკავშირდი ტელეფონით თბილისში ბატონ გურამ შარაძეს და ვთხოვე თუ ეს მარტო ჰიპოთეზის დონეზე არ არის და პრაქტიკულად არის შესაძლებელი, მოეწვია ეს ჯგუფი ბათუმში.

ასე ჩაეყარა საფუძველი ამ ექსპედიციას.

როცა ადგილზე გავეცანით მეცნიერების მიერ მოპოვებულ ფაქტოლოგიურ მასალას, მაშინვე დავრწმუნდი, რომ უდიდესი აღმოჩენის წინაშე ვდგავართ, რომელსაც რამდენიმე დღეში მივაკვლევთ და ქართული გაზის პირველ ჩირაღდანს ავანთებთ შავ ზღვაზე.

მაშინვე შევადგინეთ პრაქტიკული მუშაობის გეგმა. დავსახეთ ღონისძიებები, რომლებიც ეტაპობრივად უნდა გაგვეხორციელებინა. დავალება მივეცით ბათუმის ქარხნებს. დავამზადეთ რეზინის მილები, რომლებიც გაუძლებდნენ წნევას, არ მიიღებდნენ დეფორმაციას და აირის ნაკადს ზედაპირისაკენ შეუფერხებლად გაატარებდნენ. ქართველმა მეცნიერებმა შემოგვთავაზეს, პირამიდის ფორმის აირის შემკრების კონსტრუქცია, რომელიც დაიცავდა გაზს ატმოსფერული წნევისაგან და მისცემდა შესაძლებლობას სპეციალური მილით წამოსულიყო ზედაპირისაკენ. ასეთი კონსტრუქცია ჯერ ლითონით, შემდეგ კი წყალგაუმტარი ქსოვილით დამზადდა. ჩვენ მას ჯერ „ხეოფსიკა“ მერე კი „ბათუმი-I“ ვუწოდეთ. სხვათა შორის, გაამართლა...

პირველივე დღეების შედეგები მართლაც განმაცვიფრებელი იყო. თუ შარშან ბათუმის აკვატორიაში მხოლოდ 8 კერა იყო დაფიქსირებული, სულ რამდენიმე დღეში ამ რიცხვმა 150-ს, შემდეგ 465-ს, შემდეგ კი ხუთას გადააჭარბა. დადასტურდა, რო აქ მართლაც გაზის ძალზე ძლი შემონადინებთან გვქონდა საქმ ალსანიშნავია, რომ ამ შემონადე ნების ჭრილი ზოგჯერ ასობით მე ტრი სიგანისაა, რაც ამ საბადო სიმძლავრესა და დებეტზე მე თითებს.

შედეგი? ის სიხარულია, რომე ლიც აქ გაზის პირველი ჩირაღ ნის ანთებამ მოგვიტანა.

მივულოცავ ჩვენს ხალ მთელ საქართველოს ამ აღმო ნას! დღემდე ასეთი რამ არ ყო ფილა. ეს არის ღვთის წყალობ რომელიც ფეხზე დააყენებს, უ [illegible] ჩვენს ეკონომიკას.

მართლაც, უჩვეულო რამ მო და საზეიმო მიღებაზე. ბათუმ ნავთობგადამმუშავებელი ქარხნ ლაბორატორიის მუშაკებმა ჩვე მეცნიერებს მოუტანეს მათ მი ჩაბარებული სინჯების კვლევ შედეგები.

...და მოხდა კიდევ ერთი სა ცრება. ბათუმური გაზის სინჯე ში აღმოჩნდა წყალბადის დი შემცველობა — 12 პროცენტ რაც უნიკალურად ითვლება მს ფლიოში.

— ეს მართლაც აღმოჩენაა-აღმო ჩენაში, — გამოაცხადა მიღება ზე ბატონმა ასლან აბაშიძემ. სპ რტული ტერმინოლოგიით რო ვთქვათ, საფინიშო სწორზე, რო ცა სპორტსმენები დამატებით ს ჩქარეს რთავენ, მაინც აღმოჩ დება ხოლმე ვინმე ისეთი, რო მელიც ამას ზესიჩქარეს დაუ რიზებს და იმარჯვებს.

აქაც ასეთი ზესიჩქარის მოწ ნი ვართ, რადგან წყალბადი მო მავლის ენერგიაა, რაც უდიდ პერსპექტივებს უსახავს ჩვე ენერგეტიკას, საერთოდ, ჩვე სახალხო მეურნეობას.

ახლა მთავარია როგორ და ჩქაროთ ამ სიკეთის ხალხის სა სახურებში ჩაყენება. აქ წარმ უდგენელია, ჩვენ რომ მოგვ გამს, ისეთი უსულგულობა, სხვა დასხვაგვარი აღქმა-დამოკიდე ლება, რომელიც მოჰყვა ამ სა მეს ზოგიერთ წრეებში. ეს ე თობლივი ძალისხმევით უნ გაკეთდეს.

ეს სასიამოვნო ინფორმა უკვე მოედო მთელ მსოფლ გვირეკავენ, ინტერესდებიან, თა ნადგომას გვპირდებიან ჩვენი ზღვარგარეთელი მეგობრები.

საკუთარი გაზი ეს იმას ნ ნავს, რომ ჩვენ ადრინდელ ხელგაწვდილი აღარ ვიქნებით.

და ბოლოს ერთსაც ვიტყვ მაინც არის სამართალი იმ რომ ეს სიკეთე ჩვენთან, აჭარა აღმოჩნდა, იცით რატომ ვამბ ამას? — ბოლო წლებში იმდე უსამართლო ტრავმა და ტკივ ლი გადავიტანეთ, რომ ღმერ დაგვასაჩუქრა, რითაც აჭარას დევ ერთი მძლავრი ზურგი სცა სრულიად საქართველოს მსახურისათვის, მისი აღმშენ ლობისათვის.

გია ჭელიძ

„სრ“ აჭარის ბიურო

* * *

სურათზე: მალე აინთება გ ზის პირველი ჩირაღდანი.

ხეირან ბაროიან

ფოტ

ენერგეტიკა კრიზისულ ზღვარს მიუახლოვდა

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ რეალური გამოსავალი მაინც არის

რესპუბლიკის ელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის გამომუშავების დეფიციტმა 1983 წლის 668 მილიონი კილოვატსაათიდან 1990 წლისათვის 4 მილიარდს მიაღწია.

ენერგოსისტემის ავტონომიური მუშაობის პირობებში რესპუბლიკაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნის დაუფარავმა ნაწილმა წლიურად 30 პროცენტს მიაღწია, ხოლო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში 50 პროცენტს გადააჭარბა. კატასტროფიდან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად კვლავ რჩება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საწვავის და ელექტროენერგიის იმპორტი, რომელთა მოცულობა ახალ პირობებში მთლიანად რესპუბლიკის მიერ მისი საფასურის გადახდისუნარიანობაზე არის დამოკიდებული.

ჰიდროელექტროსადგურებში შემოდგომა-ზამთრის პერიოდში წყლის, ხოლო თბოელექტროსადგურზე სათბობის ნაკლებობამ მაგენერირებელი ქმედითი სიმძლავრეების არაოპტიმალური სტრუქტურა ჩამოაყალიბა. მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ ხშირ შემთხვევაში მდინარეების თავისებურებების გაუთვალისწინებლობის, აგრეთვე ექსპლუატაციის ტექნიკური პირობების დარღვევის შედეგად ჰიდროსადგურებში სიმძლავრეთა გამოყენების კოეფიციენტი ნორმატიულზე 20 პროცენტით, ხოლო თბოსადგურებში 50 პროცენტით ნაკლებია.

ენერგეტიკაში შექმნილი მძიმე ვითარება პირველ რიგში რესპუბლიკაში 60-იანი წლების დასაწყისიდან ჩამოყალიბებულმა საკუთარი ჰიდრორესურსების უპირატესი ათვისების იგნორირებამ და თბოელექტროსადგურების მშენებლობის ტენდენციამ (ძირითადად შემოზიდულ ორგანულ საწვავზე) გამოიწვია. ამან მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად განაპირობა ის, რომ მკვეთრად შემცირდა რესპუბლიკაში არსებული ერთადერთი ორგანული საწვავის — ნახშირის მოპოვება და გამოყენება.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთიან ენერგეტიკულ სისტემაში ფუნქციონირების პერიოდში რესპუბლიკაში შექმნილი ასეთი ვითარება კრიზისულად არ აღიქმებოდა, ხარვეზები ელექტროენერგიის ურთიერთგადადინების ხარჯზე იფარებოდა. საქართველო შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მეტნაკლებად სრულად კმაყოფილდებოდა ელექტროენერგიით, ხოლო ზოგჯერ მეზობელ სისტემებსაც კი აწვდიდა პიკურ ენერგიას.

ამავე პერიოდიდან ენერგეტიკის ობიექტების მშენებლობასა და ექსპლოატაციაში თავი იჩინა ისეთმა უარყოფითმა ტენდენციებმა, როგორიცაა დაუმთავრებელი ობიექტების ჩაბარება, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციაზე, ძირითადი ფონდების განახლებაზე, ეკოლოგიურად მისაღები ტექნოლოგიების დანერგვასა და გარემოს დაცვაზე კაპიტალდაბანდებების შემცირება.

ჰიდროელექტროსადგურების უმრავლესობა, რომელთა ექსპლოატაციის ხანგრძლივობამ 40 წელს გადააჭარბა, დაბალეფექტიანად მუშაობს. თბილისის თბოელექტროსადგურის ცალკეულ ბლოკებში ძირითადი და დამხმარე მოწყობილობები მთლიანად გაცვდა, რამაც ექსპლოატაციის იმედიანობა მკვეთრად შეამცირა. ავარიულმა გამორთვებმა სისტემატური ხასიათი მიიღო. უფრო მეტიც, რეგიონებში გართულდა ეკოლოგიური მდგომარეობა, ჭიანურდება ეკოლოგიურად სუფთა მოწყობილობათა დანერგვა, ხდება სათბობის გადახარჯვა და არასრული წვა.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სათბობის ბალანსის სტრუქტურაშიც მოხდა არსებითი ცვლილებები — მკვეთრად შემცირდა საქვაბე მაზუთის წილი და გაიზარდა ბუნებრივი გაზის წვის მოცულობა, რამაც თბოსადგურში გამომუშავებული ელექტროენერგიის ღირებულება მნიშვნელოვნად გააძვირა.

არასრულყოფილად ხორციელდება რესპუბლიკაში წარმოებული ელექტროენერგიის სატრანსპორტო კომუნიკაციების მეშვეობით გადაცემა და განაწილება. 220-500 კილოვოლტიანი მაგისტრალური ქსელების არასაკმარისი განვითარება იწვევს მის მოუქნელობას, არასაიმედოობას, ზრდის დანაკარგებს ელექტროენერგიის ტრანსპორტირებაზე. თბილსრესი და ენგურჰესი, მაგალითად, ერთადერთი 500 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზით არის დაკავშირებული. სიმძლავრის მუდმივი რეზერვის გამო, ხაზის დაზიანებას მოსდევს სისტემური ავარია, რადგან უფრო დაბალი ძაბვის არსებული ქსელი ვერ უზრუნველყოფს საჭირო სიმძლავრის ნაკადების გადინებას.

სავალალო მდგომარეობაა გამანაწილებელ ელექტრულ ქსელებშიც. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაცვლელია, მოითხოვს რეკონსტრუქციის და მომხმარებელთა განმხოლოებას, დანაწევრებას. განსაკუთრებით ცუდ დღეშია საკაბელო ქსელი, რომლის 25 პროცენტი ავარიულია.

უარყოფითი ეფექტი აქვს გათბობის სისტემის მოშლას: ზამთარში იზრდება ელექტრულ ქსელზე დატვირთვები, უმართავი ხდება აღრიცხვის, შეზღუდვების რეგულირების პროცესები და სხვა.

მიმდინარე და უახლოესი პერიოდის გადაუდებელ ამოცანად უნდა იქნას მიჩნეული ელექტრომომარაგებაში შეზღუდვების განხორციელების ტექნიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფა. გლობალური შედეგების მისაღწევად კი საჭირო იქნება ელექტრული ქსელები განვავითაროთ კონსტრუქციული გადაწყვეტილებების და მოწყობილობათა სრულყოფის ბაზაზე, უფრო სრულად გავითვალისწინოთ რეგიონების და მაღალი კატეგორიის მომხმარებლების თავისებურებანი სამეურნეო და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

წერილი პირველი

არასაკუთარ რესურსებზე ორიენტირებული ენერგეტიკა მისი ეფექტიანობის მთავარი შემბოჭავი შეიძლება გახდეს. ამაში მარტო სათბობზე ფასების კატასტროფულ ზრდას და მისი შეძენის პრობლემებს არ ვგულისხმობთ. საქმე ეხება ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფისთვის შემოზიდული ენერგიამშემცველების არჩევისას რისკის ხარისხსაც.

ენერგეტიკული კრიზისი ჩვენთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, და თუ იგი [illegible] დაგვატყდა, ამ [illegible] წილი იმასაც მიუძღვის, რომ ვერ შევძელით ისეთი ლოკალური პრობლემების მოგვარება, როგორიცაა კომპლექსის ობიექტებზე საწარმოო დისციპლინის გამტკიცება, დატაცების და დივერსიული თავდასხმების აღკვეთა, ეკოლოგიური მოთხოვნის გათვალისწინებით ახალი ენერგეტიკული ობიექტების ამოქმედება, არსებული რეზერვების სრულად გამოყენება.

ენერგიაზე ადამიანის მოთხოვნების სიდიდის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, სამეურნეო, ზოგიერთ სპეციალისტს და ხელმძღვანელსაც კი მიაჩნია, რომ დღეისათვის საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე ვაწარმოებთ საკმარის ელექტროენერგიას. განვითარებულ ქვეყნებში ერთ სულზე წელიწადში იხარჯება 5 ტონა პირობითი საწვავი და ამ სიდიდეში ელექტროენერგიის წილი საშუალოდ 40 პროცენტია. ჩვენთან იგივე მაჩვენებელმა შარშან 1,5 ტონა შეადგინა. ამიტომ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში ფიზიკური გადარჩენისათვის აუცილებელი 2-25 ტონა პირობითი საწვავის ფარგლებამდე ავიყვანოთ. შემდგომ 10-15 წლის განმავლობაში კი მივუახლოვდეთ 5 ტონის დონეს.

ხელშემშლელ ფაქტორად ამ გზაზე გვევლინება ენერგეტიკის ისეთი თავისებურებანი, როგორიცაა მისი ინერციულობა, წარმოების მოცულობის პირდაპირი დამოკიდებულება მოხმარებისაგან, წარმოებისა და მოხმარების ფაზების თანხვედრის შედეგად გაურკვევლობა მოსალოდნელი პროცესების შეფასებაში, მძიმე ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე სირთულეები ფინანსირების პრობლემების გადაწყვეტაში და ბოლოს გარემოს ცვლილებებისადმი ნაწილობრივ გამართლებული რეაქციის გამო შეზღუდვები ენერგიამშემცველების არჩევაში. უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმოების მოცულობის შემცირება, ფასების ზრდის ზემოქმედება, ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებები, ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა გამოიწვევს ელექტროენერგიაზე მოთხოვნის ადრე განსაზღვრული დონის შემცირებას. როგორც ჩანს, მოხმარების დაცემის პროცესი შესაძლოა გაგრძელდეს 1995-96 წლებამდე, 2000 წლისათვის ალბათ მივაღწევთ 1990 წლის დონეს, ხოლო 2005 წლისათვის — 1988 წლის დონეს.

ჩვენს ენერგოსისტემას დადგმული სიმძლავრეების სრულად გამოყენების შემთხვევაში გააჩნია მაგენერირებელი სიმძლავრეების გარკვეული რეზერვი, რომელთა ამოქმედება ეროვნული მეურნეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად პირველ ეტაპზე ყველაზე ეკონომიკური, რაციონალური და განხორციელებადია.

უახლოეს 2-3 წელიწადში სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ ისეთ გადაუდებელ ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე, როგორიცაა მოქმედი ელექტროსადგურების რეკონსტრუქცია. თბილსრესის გამომუშავებამ რეკონსტრუქცია-გაფართოების შედეგად 1995-2000 წლებში ყოველწლიურად უნდა შეადგინოს სულ მცირე, 6-7 მლრდ. კვტს. ჰიდროსადგურებში ამავე პერიოდში შეიძლება წარმოებულ იქნას 7,0 მლრდ. კვტს. ელექტროენერგია. ელექტროენერგიის მოხმარების მოსალოდნელი დონის უზრუნველსაყოფად საჭირო იქნება 4,5-5 მლნ. ტონა პირობითი სათბობის, აქედან 40 პროცენტი სათბობზე მაზუთის და 60 პროცენტი ბუნებრივი აირის შეძენა... გარდა ამისა, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო სექტორში უნდა მოვიხმაროთ არანაკლებ 500 ათასი ტონა საკუთარი წარმოების ნახშირი და ნავთობპროდუქტები, რათა მივაღწიოთ ელექტროენერგიის გათბობის მიზნებისათვის გამოყენების შემცირებას.

რაში ვხედავთ გამოსავალს? უახლოეს პერიოდში საქართველოში საფუძველი უნდა ჩაეყაროს ნავთობისა და ნახშირის მრეწველობის აღმავლობას. უნდა შევძლოთ, სათბობის ბალანსში უპირატესი როლი საკუთარი ნახშირის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენებას მიენიჭოს. ამ ამოცანის გადაწყვეტის შესაძლებლობები ჩვენში რეალურად არსებობს. უნდა გვახსოვდეს, რომ ენერგეტიკული რესურსების ფასების შესაძლო ცვლილებებისადმი ეკონომიკის ადაპტაციისათვის საჭიროა მეტი ენერგიამშემცველების იაფით შეცვლა. საქმე ეხება საკუთარი ნახშირის მაქსიმალურ წარმოებას და გამოყენებას ენერგეტიკაში, რათა მივაღწიოთ ენერგოსისტემის ეფექტიანობის ამაღლებას. გარდა ამისა, ნახშირის თბომომარაგების მიზნებისათვის გამოყენებით კომუნალურ-საყოფაცხოვრებო სექტორში შესაძლებელია მივაღწიოთ მომხმარებელთა სითბოთი მომარაგების საიმედოობის და ეკონომიურობის ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას მოძველებული სქემური და კონსტრუქციული გადაწყვეტილებების, ტექნოლოგიების შეცვლის, თანამედროვე მანევრირებადი, მოქნილი და ადვილად სამართავი ეკოლოგიურად მისაღები სისტემების დანერგვის ბაზაზე. ეს პრობლემაც გადაუდებელ ღონისძიებათა კატეგორიას განეკუთვნება და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ხდეს თბომომარაგების პრი ტეტული ფინანსირება ენერ ტიკის პრობლემაში მისი მას ბურობისა და აუცილებლ გათვალისწინებით.

როგორც ვხედავთ, სათბ ბალანსი დაკავშირებულია რ ტექნიკურ, ეკონომიკურ და ლიტიკურ პრობლემებთან. სიტუაციის ღრმა ანალიზი მართვა სჭირდება, რაც, სამ ხაროდ, ბოლომდე არ არის ცნობიერებული. საამისოდ არსებობს ერთიანი ეროვ პროგრამა და სახელმწ სტრუქტურა, რაც ხელს უ ენერგეტიკის სტრატეგიის შ შავებას. დაუსაბუთებლად უყაირათოდ იხარჯება ფულ და მატერიალური სახსრები რგში არაპრიორიტეტული მ რთულებების განსავითარებ ამის შედეგია, რომ რესპუბ კაში რეალურად არსებული ძალი ჰიდროენერგორესურ ბის და ნახშირის ათვისების ქმე პრაქტიკულად შეჩერებუ დაშლის ზღვარზეა ან თით გაჩანაგდა ის კოლექტივები, მლებმაც სახელი გაუთქვეს რთულ საინჟინრო სკოლას.

გასათვალისწინებელია, ენერგიამშემცველებზე ფას განუხრელი ზრდის პირობ სათბობის შესაძენად გაწე დანახარჯები იქნება ის ძირ დი ფაქტორი, რომელიც გამ წვევს ელექტროენერგიის ღ ბულების ზრდას, ეკონომ სხვა დარგების დაქვეითებას, ლხის ცხოვრების დონის კ უფრო გაუარესებას.

ჩვენი უპირველესი საზრუ უნდა გახდეს ნახშირის მრეწ ლობის და ჰიდროელექტრო გურების არსებული შესაძ ლობების შენარჩუნების და პროექტო პარამეტრებში ამ მდების პარალელურად, პერს ქტიული ობიექტების ახალ ფუძველზე დაპროექტება და ნხორციელება, რომლებმაც უ საბოლოოდ გადაწყვიტოს პუბლიკის საკუთარი რესურ ბით ენერგოუზრუნველყო პრობლემა. განსაკუთრებით ეფექტს უნდა ველოდოთ მდ რეების პოტენციალის უფ სრულად გამოყენებისაგან. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა ვაშენ ჰიდროელექტროსადგურები ნარის წლიური ჩამონად უთანაბრობის დარეგულირებ აგრეთვე ბუნებრივი მოდინებ რომელთა თანაფარდობა და ოდენობა განისაზღვრება ელ ტროენერგიის მოხმარების ო ნობითა და ენერგოსისტ მდგრადობისა და საიმედო უზრუნველყოფის ამოცანით.

ანზორ ჭითანა

საპროექტო-საძიებო ინსტ ჰიდროპროექტის დირექტ

ჩვენს გასაჭირზე

ნარკობიზნესს, ნარკომაფიას—ომი, ნარკომანს—მკურნალობა!

იმის მიუხედავად, რომ ვარ ექიმი, ან იქნებ სწორედ იმიტომ, რომ ვარ ექიმი — მხარს ვუჭერ პასუხისმგებლობის გამკაცრებას ნარკოტიკულ ნივთიერებათა გამავრცელებლების წინააღმდეგ, გამონაკლის შემთხვევაში სასჯელის განსაკუთრებული ზომის გამოყენებამდე. ის, ვინც საკუთარი კეთილდღეობისათვის ქართველი ხალხის გადაგვარების პირობას ქმნის — საქართველოში შემოაქვს დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერებები, ან მათ შემოტანა-გაყიდვის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს, ნებისმიერი სასჯელის ღირსია. მით უმეტეს, რომ XX საუკუნის უმძიმესი ინფექციური დაავადება, რომლის წინააღმდეგ წამალი ჯერ არ არსებობს, შიდს-ი, ნარკომანიის განუყოფელი თანამგზავრია.

ზოგჯერ, გაიგონებთ ჩვენს თანამედროვეთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სიკვდილით დასჯის შემოღება შეუთავსებელია დემოკრატიულ საზოგადოებასთან. მეც ამ აზრისა ვარ, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც... ამერიკის შეერთებული შტატები ხომ დემოკრატიული საზოგადოებაა (ჩვენზე დემოკრატიული მაინც და ჩვენზე მდიდარიც), მაგრამ ტეხასის შტატის სისხლის სამართლის კოდექსში ვკითხულობთ: ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაული განსაკუთრებული ხასიათის დანაშაულია, ამიტომ, იქ 10 კგ. მარიხუანის (ანაშა) მფლობელობა, გაყიდვის მიზნით ისჯება პატიმრობით 15-დან 99 წლამდე, ან სასჯელის უმაღლესი ზომით და 250 000 დოლარი ჯარიმით. მსგავსი სასჯელი გათვალისწინებულია სუფთა მორფიუმის, ჰეროინის, კოკაინის რამდენიმე ათეული გრამის გაყიდვისათვის. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სასჯელის უმაღლეს ზომას უაღრესად იშვიათად მიმართავენ, ბევრ შტატში კი 99 წლის პატიმრობით არის შეცვლილი.

სიმკაცრე და დაუნდობლობა ჯალათების მიმართ (ჯალათს სასამართლოს განაჩენი მოყავს სისრულეში, ნარკობიზნესი კი ათასობით ადამიანს სპობს ყოველგვარი განაჩენს გამოუტანლად) უნდა შეუთავსდეს ყოველგვარ მიმტევებლობას და თანადგომას მათი მსხვერპლის მიმართ. საკუთრივ ნარკომანი მსხვერპლია, ის არის უმძიმესი სენით შეპყრობილი ადამიანი. თუ ნარკომანი არ არღვევს სისხლის სამართლის კოდექსს, არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ბოროტმოქმედი მხოლოდ იმიტომ, რომ ავადმყოფია.

ავადმყოფი მკურნალობას საჭიროებს. სხვა გამოსავალი არც არის. დღეს რომ ყველა ნარკომანის დაპატიმრება ვცადოთ, დანარჩენი ქართველები მეციხოვნეებად არ ვეყოფით. ამასთანავე, პატიმარი-ნარკომანი ქვეყანას ბევრად უფრო ძვირი უჯდება, ვიდრე ნარკომანი, რომელიც მკურნალობს; ხოლო ის ნარკომანი, რომელიც არც პატიმარია და არც მკურნალობს, ყველაზე უფრო საშიშია, ვინაიდან, იძულებულია, არაკანონიერი გზებით მოიპოვოს ნარკოტიკული ნივთიერებებისთვის საჭირო თანხა.

საზოგადოების ამოცანაა ნარკომანებს უმკურნალოს და შეუქმნას მკურნალობისათვის საჭირო პირობები. ეს კი ნიშნავს, ისეთი კანონების მიღებას, რომლებიც ნარკომანებს აიძულებენ, იმკურნალონ. სწორედ რომ აიძულებენ, იმიტომ, რომ ნარკომანია იმ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ავადმყოფი ტყვეობაში ჰყავს და ვიდრე ჯანმრთელობის უკიდურესი გაუარესება, უფულობა, დაპატიმრების შიში ან სხვა გარემოება არ აიძულებს, ის სამკურნალოდ არ მიდის. ასეთი ზეგავლენა უნდა მოახდინოს პოლიციამ, ყველა ჩვენგანმა.

ნარკომანი, რომელსაც არ სურს მკურნალობა, საზოგადოებისაგან მოკვეთილად უნდა გრძნობდეს თავს. სამაგიეროდ, ის ნარკომანი, რომელიც მკურნალობას გადაწყვეტს, ან მკურნალობის შედეგად გამოჯანმრთელდება, საზოგადოებამ უნდა მიიჩნიოს სრულფასოვან წევრად, მეტიც, მის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გვმართებს. ნებისმიერი რელიგია ხომ ცოდვილის, გზასაცდენილის დაბრუნებას, სწორ გზაზე დადგომას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს!

ალბათ, დაისმება შეკითხვა, რატომ უნდა შევქმნათ ზარ-ზეიმი იმის გამო, ნარკომანის გზას დამდგარი და, ვინ იცის, რა ცოდვადაჩადენილი პიროვნება ნორმალური ცხოვრების დაწყებას აპირებს? ჩვენ ხომ ხშირად საზოგადოების ნორმალური წევრებისათვისაც არ გვყოფნის სითბო და სახსარი!

ნარკომანია სოციალური დაავადებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ თითოეული ახალგაზრდის განარკომანებაში მის ინდივიდუალურ ბრალეულობასთან ერთად, საზოგადოების დანაშაულიც არსებობს. თუ ნარკომანების რაოდენობა მცირეა, საზოგადოების წევრებზე განაწილებულ დანაშაულში თითოეული წევრის წილი უმნიშვნელოა, მაგრამ როცა ქვეყანაში იმდენი ნარკომანია, რამდენიც დღეს საქართველოშია, ვერც ერთი ჩვენგანი უცოდველად ვერ უნდა გრძნობდეს თავს. ამდენად, ყველამ უნდა გაიღოს ის, რისი გაღებაც შეუძლია: ვინ — ფული, ვინ — დრო, ვინ — ცოდნა, ვინ — სითბო და ა. შ., რათა გამოისყიდოს საკუთარი დანაშაული. ვისაც საზოგადოებრივი იდეალები ნაკლებად აწუხებს, და ამ მსჯელობას არ ეთანხმება, ვფიქრობ, თუნდაც იმიტომ მაინც უნდა იმოქმედოს, რომ მისი ძმა, და, შვილი, შვილიშვილი არ გახდეს ნარკომანი, არ დაავადდეს შიდს-ით ან არ გაქურდონ და გაძარცვონ.

ნარკომანიისა და ნარკობიზნესის საწინააღმდეგო ღონისძიებები თუ ეფექტიანად განხორციელდა, მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ნარკოტიკული ნივთიერებების ფასი, რაც ნარკომანთა ერთ ნაწილს აიძულებს, იმკურნალონ, ნარკომანიით დაავადებული პირის მკურნალობა არ ნიშნავს მის დეზინტოქსიკაციას, მის გათავისუფლებას დამოკიდებულების სინდრომისაგან, ანუ „ლომკის“ მოხსნას. ეს პირველი ეტაპია. მთავარია, მისი ჯერ სამედიცინო, ხოლო შემდეგ სოციალური რეაბილიტაცია. ეს წერილი არ ითვალისწინებს მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გაშუქებას, მაგრამ ის მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ მკურნალობის კურსი სამი თვიდან სამ წლამდე შეიძლება გრძელდებოდეს (მხედველობაში მაქვს სპეციალისტებთან ურთიერთობა და არა საავადმყოფოში წოლა, საავადმყოფოში დაწოლა ზოგჯერ საჭიროც არ არის), ხოლო ორ თვეზე ნაკლები მკურნალობის ვადა წყალში გადაყრილი ფული და დროა.

ჯერჯერობით სამედიცინო პერსონალი და მისი კვალიფიკაცია ყოფნის იმ თითო-ოროლა პაციენტს, ვინც ფასიან თუ ნახევარფასიან მკურნალობაზე თანხმდება (საკუთარი სურვილით მოსულ პაციენტთა მკურნალობა ანონიმურია), ფული კი არა გვაქვს და სათანადო ინსტანციების მცდელობის მიუხედავად, ჯერ ვერც მისი მიღების წყაროს ვხედავთ.

ამის შესახებ იმიტომ ვაუწყებ ჩვენს საზოგადოებას, რომ შევახსენო — დღეს მხოლოდ ენთუზიაზმით ვერაფერს მივაღწევთ, საჭიროა გავიღოთ სათანადო ფინანსები, თუნდაც მინიმალური ოდენობით.

მესმის ბევრი ჩვენი თანამემამულის ნარკომანის განკურნების მცირე ალბათობასთან დაკავშირებული სკეპტიციზმი, მაგრამ ვერ დავეთანხმები, რომ მათ არ უნდა ვუმკურნალოთ. ჯერ ერთი, არავინ იცის, რომელი ავადმყოფი მორჩება და რომელი არა, ამიტომ ყველა მსურველს უნდა ვუმკურნალოთ. მე პირადად, ვიცნობ რამდენიმე საერთაშორისო რანგის პროფესორს, რომელიც ახალგაზრდობაში ჩამოყალიბებული ნარკომანი იყო. ამასთან, არ შეიძლება, ყველას გამოვუცხადოთ უნდობლობა იმის გამო, რომ ნაწილი, ალბათ, განაახლებს ნარკოტიკული ნივთიერების მიღებას, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ მკურნალობა თანამედროვე მეთოდებით წარიმართა, ჩვენ კი ამისათვის მზადა ვართ, ავადმყოფთა 20-30 პროცენტი მაინც შეძლებს დაუბრუნდეს საკუთარ ოჯახსა და საზოგადოებას.

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: სწორი აღზრდა ბავშვებსა და მოზარდებს, უმკაცრესი ზომები ნარკობიზნესისა და ნარკომაფიის მესვეურთა წინააღმდეგ, მიმტევებლობა და მკურნალობა იმ ავადმყოფ ნარკომანებს, ვისაც სურს მკურნალობა. ვეჭვობ, რომ ნარკომანიის დასაძლევად ჩვენ უფრო ეფექტიანი გზის გამონახვას შევძლებთ.

გელა ლეჟავა,
ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

პოზიცია

რუსოფობია არ არის ქართული მოვლენა

ქართველი კაცის კეთილგანწყობა სხვა ერების მიმართ და მცირერიცხოვანთა მფარველობა და შემწყნარებლობა ისტორიულად იმდენად დადასტურებული და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ამის შესახებ მსჯელობა ღია კარის მტვრევაა. ამ ფაქტების აღნუსხვას საგაზეთო წერილი კი არა, ტომები დასჭირდებოდა, მარტო იმის გახსენება რად ღირს, რომ სპარსთაგან პერმანენტულად აოხრებული ქვეყნის შვილმა, თეიმურაზ მეფემ სპარსთა ღირსებების დანახვა და აღიარებაც შეძლო: „სპარსთა ენისა სიტკბომან ისურვა მუსიკობანიო“. ამ თქმაში ჩანს ქართველი კაცის ფართო, კეთილშობილური ბუნება, მისი ღრმა ჰუმანიზმი, თეიმურაზს შესწევს სიბრძნე და უნარი ერთმანეთისაგან გათიშოს ყიზილბაშთა ველური ინსტიქტები და სპარსთა ამაღლებული პოეზია. მას ყიზილბაშთა ლაშქრის ბარბაროსობა ხელს არ უშლიდა დაენახა სპარსელთა პოეზიის სილამაზე და ღირსება. ის იმდენად ამაღლებული და სწორედ ქართული ხასიათის გამომვლენი პიროვნებაა, რომ, კაცს, რომელსაც სპარსელებმა სამშობლო აუოხრეს, ოჯახი ამოუწყვიტეს, პირადი ცხოვრება გაბმულ ტანჯვად უქციეს, სპარსთაგან ასერიგად ჯვარცმულ კაცს როდი შესჯავრებია ყოველივე სპარსული, მას ეყო სულგრძელობა და ვაჟკაცობა, რომ ცუდის იქით კარგიც დაენახა და ამ კარგის აღნიშვნას არ მორიდებია.

ქართველი კაცის, და ამ შემთხვევაში, თეიმურაზ პირველის საოცარი დიდსულოვნება და ჰუმანიზმი სწორედ ის არის, რომ ყიზილბაშის მოქნეული ხმლის იქით ფირდოუსისა და ნიზამის, ომარ ხაიამისა და ჰაფიზის პოეზიის სურნელება შეიგრძნო და, რაც მთავარია, მისდამი ტრფიალებაც გამოხატა. აქაა მისი ვაჟკაცობა, საოცარი პიროვნული ღირსების, ეროვნული თვისებების გამოხატვა, ეროვნულიო იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენზე უფრო დიდმა ერებმა ვერ შეძლეს ესოდენი სულგრძელობის გამოხატვა მტრისადმი. მაგალითად, ცნობილია, რომ ომის პერიოდში საფრანგეთში კონცერტებზე არ შეუსრულებიათ გერმანელი კლასიკოსების ქმნილებები, ფრანგს იმდენად შეჯავრდა გერმანელი დამპყრობელი, რომ ბეთჰოვენისა და მოცარტის მოსმენაც კი არა სურდა. ქართველმა კაცმა კი შეძლო მტრის ჯალათებს იქით იმ ქვეყნის პოეზიის სიდიადის დანახვა და განცდა. ეს ტრადიციული თვისებაა ქართველი კაცისა.

ქართველი კაცის შეგნებაში მტრის სიძულვილი არასოდეს, საერთოდ, ადამიანისადმი სიძულვილში არ გადაზრდილა. საკმარისი იყო კონფლიქტური სიტუაციი დამცხრალიყო და იმავე მტრისადმი უკვე ყურადღებით და ადამიანურად განეწყობოდნენ. შენდობა და მიმტევებლობა მუდამ ამშვენებდა ქართველ კაცს.

თეიმურაზის მაგალითი იმიტომ გავიხსენეთ (ასეთი სურვილების და ამაღლების უამრავი გამოხატულებით არის დახუნძლული ჩვენი ისტორია), რომ ეს ტიპიური შემთხვევაა ქართველი კაცის უცხოელთან დამოკიდებულებისა. იგი უპირველესად იმაში ვლინდება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მთლიანად ერის, თუნდაც მტრულად განწყობილის, საერთოდ შეჯავრება და განწირვა. ჩვენი წინაპრები თვით მტერშიც აღმოაჩენდნენ ღირსებას, დადებით მხარეს და ამის საფუძველზე ამყარებდნენ კონტაქტს, ამით განეწყობოდნენ მას და ახლაც ამ ტრადიციებს იცავს ჩვენი ხალხი (ვაი-პოლიტიკოსების გამოკლებით).

ეს არის ეროვნული თვისება ქართველი კაცისა და არც ჩვენი თანამედროვეობა გადაგვარებულა და დაცემულა ისე, რომ ზოგიერთი შოვინისტური ფსიქოზით შეპყრობილი რუსი პოლიტიკური ჩინოვნიკის იქით ვერ დაინახოს ლ. ტოლსტოისა და პ. ჩაიკოვსკის ღირსება და ხიბლი. ჩვენი ერი და, მით უფრო, ინტელიგენცია რუსეთს აღიქვამდა არა რუსი ჯალათებისა და მაწანწალების ასპექტში, არამედ რუსეთის დიდი ცივილიზაციითა და მშრომელი, კეთილი რუსი კაცის ღირსებით. დღეს კი გამოჩნდნენ ქუჩის მომიტინგეები, სამარცხვინო ეროვნულ-დამანგრეველი და საკუთარი ჯიბეების გამსქელებელი ვაი-პოლიტიკოსები, რომლენიც მთელი ერის სახელით ათასგვარ უწმაწურ ლოზუნგებს ისვრიან. ისინი ქმნიან ილუზიას, თითქოს თითოეული მათი წამოსროლილი ფრაზებით: „რუსებო წადით“, — რუსის ტანკი მობრუნდება და თავქუდმოგლეჯილი რუსი ოფიცერი გავარდება საქართველოდან. ასეთმა ქუჩურმა ლოზუნგებმა დაგვაკარგვინეს აფხაზეთი და სამაჩაბლო, დაგვილუპეს შესანიშნავი ჭაბუკები, უკიდურეს სიდუხჭირეში ჩაგვაგდეს და კიდევ რამდენ უბედურებას დაგვატეხენ თავს, კაცმა არ იცის, ნაცვლად იმისა, რომ დიდ და ძლიერ რუსეთთან ჩვენს ვაი-პოლიტიკოსებს დაემყარებინათ გონივრული, ტაქტიანი და შორს-განმჭვრეტავი ურთიერთობა, ისე როგორც ეს გააკეთეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებმა. მე მაინც ვერ ვიწამებ, რომ ქართველი კაცი ისე გამოყეყეჩდა, რომ დაკარგა რეალობისა და საკუთარი შესაძლებლობის გრძნობა და ასე ბრიყვულად უპირისპირდება რუსეთს, არა ბატონებო! ეს შეუძლებელია და თქვენც ნუ მოტყუვდებით, ჩემის ღრმა რწმენით, რუსოფობია, რუსთა აუგად ხსენება ჩვენში განავითარეს რუსეთის ბნელმა ძალებმა, რომელთაც ჩვენს შორის გამოარჩიეს ქუჩის უწიგნური მომიტინგეები, გააბრიყვეს ისინი, აგინებინეს რუსეთი და ამით თვით რუსეთის ბნელ, აგრესიულ ძალებს შეუქმნეს საფუძველი ჩვენდამი მტრულად განწყობისა და ჩვენი გამანადგურებელი გეგმების შემუშავებისა. ქართული გვარის მქონე ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობის თავკაცები ფსევდო-ეროვნული ლოზუნგებით თვალს უხვევენ ჩვენს ზოგიერთ პრიმიტიულ მოქალაქეს და ამავე დროს წყალს ასხამენ რუსეთის შოვინისტების წისქვილზე, რადგანაც მათ აძლევენ ჩვენდამი მტრულად განწყობისა და ჩვენი დანგრევის მიზეზს.

ჩვენს სინამდვილეში რუსოფობია არ არის ქართული მოვლენა. ეს არის რუსეთის ბნელი ძალების მიერ ინსპირირებული მოძრაობა, რათა, ერთის მხრივ, შუღლი შეიტანოს რუსი და ქართველი კაცის განწყობილებაში და, მეორეს მხრივ, შექმნას ჩვენდამი აგრესიის რეალური საფუძველი.

რასაკვირველია, მეფისა თუ კომუნისტური რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აუცილებელია მოქმედება, მაგრამ მოქმედება უნდა იყოს გონივრული, ზნეობრივი, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ფორმებით და არა სალახანური და უგუნური ლოზუნგებითა და მიტინგებით. ეს ფორმები ბრძოლისა თვით რუსეთის ბნელი ძალების მიერ არის ჩვენზე თავსმოხვეული და ჩვენში, სამწუხაროდ და საუბედუროდ, აღმოჩნდნენ ქუჩის მომიტინგე „ვაიპატრიოტები“, რომელთაც აიტაცეს თვით რუსთაგან გადმოსროლილი ანტირუსული ლოზუნგები და ამით მტრის წისქვილზე მიუშვეს წყალი.

რუსეთის აგრესიული, ბნელი ძალების მხილება, რასაკვირველია, აუცილებელია, მაგრამ ეს მხილება უნდა ხდებოდეს იმ ფორმითა და სიბრძნით, როგორც ამას დიდი ილია და მისი თანამოღვაწეები აკეთებდნენ და არა ქუჩური, ფუქსავატური გამოლიზიანებლობით, ნუ გვავიწყდება, რომ ამ უგუნურ გამოლიზიანებლობას ბუმერანგის ხასიათი აქვს. უკან გვიბრუნდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ავყიაობით ენას ვიქარვებთ, ხოლო ჩვენგან გაღიზიანებულნი კი მოქმედებენ და მოქმედებენ ინტენსიურად, შენიღბულად.

დროა გონს მოვეგოთ და გავიაზროთ, რომ რუსების მიტინგური გაკილვა ეროვნული მოღვაწეობა კი არ არის, არამედ ერის დამღუპველი აქციაა. ამის მწარე გამოცდილება საკმარისზე დიდი გვაქვს.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსოფობია არ არის ქართული მოვლენა. ეს არის თვით რუსეთის მიერ თავზემოხვეული, სწორედ რომ, ანტიქართული მოვლენა, ქართველთა გასანადგურებლად გამოგონილი.

რევაზ ბარამიძე.

აივსო მოთმინების ფიალა

საქართველოს პარლამენტის სპიკერს ვახტანგ გოგუაძეს

ბატონო სპიკერო, ბოლო წლების მანძილზე, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე არაერთგზის დამხვედრიან და მოუყენებიათ შეურაცხყოფა... ვთვლიდი, რომ ყოველივე მიმდინარეობდა პრეზიდენტყოფილის მომხრე კარვის ქალთაგან. არც ვცდებოდი.

1994 წლის 14 სექტემბერს, ორის ნახევარზე, პარლამენტის წინ, მოულოდნელად თავს დამესხნენ ზუგდიდელი შვილმკვდარი დედები (როგორც თავად ამბობდნენ), მათ შორის რამდენიმე თავზეხელაღებული კაცი...

მომექცნენ ყოვლად უსინდისოდ, მომაყენეს ჩემთვის ჯერარნახული შეურაცხყოფა, იკადრეს ქართველი ქალისათვის უკადრებელი, ხოლო თუ ეს ქართული ხასიათია, მაშინ არაქართული რაღაა?

ჰყავდათ მოკარნახე ხელმძღვანელიც, კარგად მოფიქრებული და რეჟისორულად დადგმული პროვოკაციული სცენებით, ცდილობდნენ დამეკარგა წონასწორობა, მირტყამდნენ მკვდარი შვილების ჩარჩოიან სურათებს, კიოდნენ გაბმით, სულგრძელად მირჩევდნენ მომეკლა თავი, თურმე ნუ იტყვით, ყოველივეს სჩადიოდნენ მისთვის, რომ „შოთა კვირაიამ ჩვენი შვილები დახვრიტა და შენ დღემდე ხმა არ ამოგიღიაო“. (შოთა კვირაიას მაინცდამაინც ახლა ამოღება მიზანში სრულიად გასაგებია!) დემაგოგია დემაგოგიად, სიძულვილი სიძულვილად, მაგრამ ახლო-მახლო ერთი პოლიციელი ხომ მაინც უნდა გამოჩენილიყო, რომ ჩაეცხროთ ჭკუიდან გადამდგარი ოციოდე ქალი და კაცი, ადამიანები, რომლებიც მზად იყვნენ „ლინჩის“ წესით „გავესამართლებინეთ“.

ბატონო სპიკერო, კარგად მოგეხსენებათ, რომ მე არა ვარ თქვენგან, ესე იგი, ხელმძღვანელთაგან ინფორმირებული ვინ ვის კლავს საქართველოში და რისთვის, ამისათვის არსებობს სამართალდამცავი ორგანოები, ხოლო პარლამენტზე ვინმეს შვილის დახვრეტა არასოდეს არ განხილულა.

სამწუხაროდ, თბილისშიც ბევრი დედა გაამწარეს, ბევრს მოუკლეს შვილი, მაგრამ მე არავინ დამხვედრია და პარლამენტის წინ შეურაცხყოფა არ მოუყენებია, ასე რომ, რაოდენ ძნელიც უნდა იყოს, არც ბედნიერმა და არც გაუბედურებულმა მშობელმა ღირსება არ უნდა დაკარგოს.

ახლა მინდა გითხრათ, უფრო მთავარზე: შვილმოკლული დედა რომ უზომოდ ცოდვაა და განსაკუთრებით უბედური, ეს ჭეშმარიტებაა, ისიც აქსიომაა, რომ კაცი, რომელიც თავისით გამოუტანს განაჩენს უდანაშაულო პიროვნებას, უნდა დაისაჯოს, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, უნდა დაისაჯოს თუ არა კაცი, რომელიც საბრალო დედებს თავს მოუყრის, თბილისში ჩამოიყვანს და თავისი ბნელი საქმეების დასაფარავად ფარად გამოიყენებს?

ვარ შეურაცხყოფილი და ყოვლად დაუცველი, თუ უდანაშაულო პარლამენტარის დაცვა არ შეგიძლიათ, დამნაშავეს როგორღა აგებინებთ პასუხს? ან იქნებ იქითკენ მიბიძგებთ, რომ მეც თავზე ხელი ავიღო და საკუთარი თავი დავიცვა?

ბატონო სპიკერო, ამ ბოლო წლების მანძილზე ბევრი დევნა და მუქარა გადავიტანე, არც ვინმეს შევუშინდი, მაგრამ დღეს უკვე აივსო მოთმინების ფიალა და ასე გადავწყვიტე: სანამ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგს არ დაამყარებთ, სანამ პარლამენტის წინ მაინც არ აღკვეთთ საეჭვო პიროვნებათა თარეშს, სანამ არ გამოამჟღავნებთ უბედურ დედათა გამღიზიანებლებს, მანამ ფეხისშემომდგმელი არ ვარ პარლამენტის სხდომებზე.

მე ბინძურ თამაშებში ვერ გავერევი, ვერ გავხდები განუკითხაობის მსხვერპლი, თქვენ კი ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

საქართველოს პარლამენტის წევრი
ჯანსულ ჩარკვიანი.
14.09.94 წ.

არქეოლოგია

„გამათქვი, ციხის ნაშალო...“

„მიწისქვეშა“ საქართველოთი უცხოელთა დაინტერესება რომ არა...

ბევრი თქმულა და დაწერილა ციხე-ქალაქ დმანისზე და ბევრიც უნდა ითქვას, რადგან ის ქართველი კაცის სიამაყეც არის და გულისტკივილიც... სიამაყე იმით, რომ დმანისი ჩვენი ერთ-ერთი ბრწყინვალე ძეგლია, გულისტკივილი კი იმით, რომ ორსაუკუნენახევარია აქ სიცოცხლე ჩაქვდა. გაუკაცრიელდა, ნაქალაქარის სახელწოდება მიიღო...

მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც არ გვავიწყებენ წარსული დიდების ამ ნაშთებს. ლაპარაკია დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაზე, რომელმაც უკვე გამოამზეურა ბევრი მნიშვნელოვანი აღმოჩენა. მკითხველს გვინდა გავაცნოთ ექსპედიციის უახლესი მიღწევები, ამიტომაც ვეწვიეთ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს ბატონ ჯუმბერ კოპალიანს და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— ბატონო ჯუმბერ, დღევანდელი საქართველოს უკიდურესად კრიზისულ ვითარებაში არქეოლოგიურ გათხრებზე თანხების გამოყოფის საშუალება, ვფიქრობთ აღარ არის. მაშ, როგორღა ახერხებთ მუშაობას?

რა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშიც უნდა ვიყოთ, არ უნდა ველოდოთ როდის ამუშავდება მთელი სიმძლავრით ფაბრიკა-ქარხნები, აღორძინდება ეკონომიკა. ამის ლოდინში ჩვენი მეცნიერება, მწერლობა, კულტურა გაიყინება, ჩაკვდება და ერის საქმეც ამ მხრივ უკუღმართად წავა.

რაც შეეხება ჩვენი ექსპედიციის დაფინანსების საქმეს, უნდა ითქვას, რომ გასულ წლებში ნაქალაქარის ტერიტორიაზე ძველი ქვის ხანის ძეგლის აღმოჩენამ და შესწავლამ დმანისის სახელი საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაიტანა.

როგორც უკვე ცნობილია, 1991 წლიდან ჩვენს ექსპედიციაში თანამშრომლობენ გერმანიის ქალაქ მაინცის გერმანულ-რომაული ცენტრალური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლები და წლეულსაც ძირითადად მათი ფინანსური დახმარებით ვაწარმოებთ გათხრებს ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

— ვინც ამ ბოლო წლებში დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე არ ყოფილა და მას დღეს შეხედავს, გაოცდება — მთელი ციხე, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ — „სამხედრო შტაბი“ — მიწის ქვეშ ყოფილა ჩამარხული. უფრო ვრცლად რას გვეტყოდით მის შესახებ, რომლის გამომზეურება ძირითადად თქვენს დამსახურებად ითვლება?

— მართლაც, შიდა ციხის (ციტადელის) ტერიტორია მიწის ფენითა და ტყით იყო დაფარული. ათი წლის ინტენსიური მუშაობის შედეგად დავამთავრეთ ციხის მთლიანად გათხრა. გამოვავლინეთ ციხის თავდაცვითი სისტემა — გალავნის კედლები თავისი ბურჯებით, კოშკები და საბრძოლო ბაქნები; სხვადასხვა დროის სასახლეებისა და შინამოსამსახურეთა საცხოვრებლის, რამდენიმე მარნის, სახაბაზოსა და სხვა სამეურნეო ნაგებობის ნაშთები. გათხრების პერიოდში აღმოჩნდა მდიდარი არქეოლოგიური მასალა.

— წლეულს რა ობიექტებზე მუშაობს თქვენი ექსპედიცია?

— ექსპედიციაში ორი რაზმია. ერთი ქვის ხანის ძეგლის შემსწავლელი (რაზმის ხელმძღვანელები ქ-ნი მედეა ნიორაძე და გერმანელი არქეოლოგი ანტია იუსტუსი), ხოლო მეორე რაზმი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, მუშაობს შიდა ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს დამამთავრებელი სამუშაოები. აქვე დავსძენ, რომ ექსპედიციის შემადგენლობა 25 კაცამდეა. პალეოლითურ ძეგლზე უკვე მეოთხე წელიწადია მოწვეული გვყავს სამუშაოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თხუთმეტამდე სტუდენტი, ახლა მათთან ერთად მონაწილეობენ ფრანგი სტუდენტებიც. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სტუდენტების მუშაობითა და ქცევით ძალიან კმაყოფილი ვარ, მათთან ერთად დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს ექსპედიციაში მომუშავე ნაქალაქართან მდებარე სოფელ პატარა დმანისის მცხოვრებლებსაც.

— დმანისის ექსპედიციის აღმოჩენილი ძეგლების შესახებ ევროპა-ამერიკის ქვეყნების პერიოდულ გამოცემებში ბევრი დაიწერა, რას უნდა ველოდით კიდევ?

— ჩვენმა მუშაობამ ისეთი ფართო მასშტაბის რეზონანსი მიიღო, რომ ვვარაუდობთ 1997 წლისათვის აქვე, სოფელ პატარა დმანისში გავმართოთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შუა საუკუნეებისა და პალეოლითური ძეგლების კვლევის შედეგებზე. იმედი მაქვს, ჩვენი ძეგლებითა და ნაპოვნი პროდუქციით ღირსეულად წარვსდგებით ასეთ დიდმნიშვნელოვან ფორუმზე.

ესაუბრა
შალვა ადუაშვილი.

სატელევიზიო ფესტივალი „მანა-94“

ნომინანტთა სია

საუკეთესო სატელევიზიო დიქტორი

1. **სერგი გვარჯალაძე** — ტ კ „2 არხი“
2. **გიორგი გოგიჩაიშვილი** — ტ კ „იბერვიზია“
3. **ირინა მათიაშვილი** — ტ კ „1 არხი“
4. **ნუგზარ ჰანტურია** — აფხაზეთის ტელერადიოკომპანია

საინფორმაციო პროგრამის საუკეთესო წამყვანი

1. **თამარ გვილავა** — ტ კ „რიონი“ (ქუთაისი)
2. **თამარ ცაგარეიშვილი, სულხან მელაძე** — საინფორმაციო სატელევიზიო კომპანია
3. **ეკა ბერიძე** — „TBC TV STUDIO“ („იბერვიზიაში“ მუშაობის პერიოდი)
4. **ლევან კოლუაშვილი** — ტ კ „იბერვიზია“
5. **მაკა სალუქვაძე** — ტ კ „ფაზისი“ (ფოთი)

საუკეთესო ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამა

1. **„კურიერი“** — ტელესტუდია „რუსთავი-2“-ის საინფორმაციო სამსახური
2. **„ალიონი“** — საინფორმაციო სატელევიზიო კომპანია
3. **„მონიტორი“** — ტ კ „იბერვიზია“-ს საინფორმაციო სამსახური
4. **„ინფორმაცია 2 არხი“** — ტ კ „2 არხი“-ს საინფორმაციო სამსახური

საუკეთესო საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამა

1. **„TV-ინფორმი“** — დათო პატარაია ტ კ „1 არხი“
2. **„დაიჯესტ-მონიტორი“** — ლევან კოლუაშვილი ტ კ „იბერვიზია“
8. **„ბიზნეს-თაიმი“** — ზაზა გაჩეჩილაძე ტ ს „რუსთავი-2“
4. **„საღამო მშვიდობისა“** — მამუკა არეშიძე, ნანა ჯაფარიძე ტ კ „1 არხი“

ყველაზე რისკიანი რეპორტაჟი

1. **„22 დეკემბრის დილა თბილისში“** — ლევან შანიძე
2. **„საკუთარი თვალით“** — გიორგი ჭყონია ტ კ „1 არხი“
3. **„რეპორტაჟები გუმისთიდან“** — საშა იოსელიანი ტკ „1 არხი“
4. **„ტერორისტული აქტი ორთაჭალაში“** — გია ქუთათელაძე, ლევან კოლუაშვილი ტ კ „იბერვიზია“
5. **„რეპორტაჟი სვანეთიდან“** — ირმა ინაშვილი, ლია მირცხულავა, პავლე ზაკალაშვილი ტ კ „1 არხი“

საუკეთესო პუბლიცისტური გადაცემა

1. **„პრეს-ექო“** — მაკა თურქია ტკ „1 არხი“
2. **„მზერა“** — დავით გოგიბედაშვილი ტ კ „2 არხი“
3. **„ომი და ბავშვები“** — სალომე დადუნაშვილი, ანი ციცქიშვილი საყმაწვილო სატელევიზიო ცენტრი
4. **„აუდიენცია“** — კოკა ყანდიაშვილი „PTP“

საუკეთესო შემეცნებით-გასართობი პროგრამა

1. **„კინოთვალი“** — რუსუდან კვარაცხელია, თეა ხატიაშვილი ტ კ „1 არხი“
2. **„ჭორნიუსი“** — ქეთი კაპანაძე, ლევან კოტია ტკ „1 არხი“
3. **„ვიდეოანონსი“** — გიორგი გაფრინდაშვილი ტ კ „იბერვიზია“
4. **„აკრძალული ხილი“** — ირაკლი ჯაოშვილი ტ კ „1 არხი“
5. **„დრონი“** — ნანა დევდარიანი ტ კ „დრონი“

საუკეთესო იუმორისტული გადაცემა

1. **„პარანოია“** — შალვა რამიშვილი ტ კ „იბერვიზია“
2. **იუმორისტული საინფორმაციო გამოშვება** — საყმაწვილო სატელევიზიო ცენტრი
3. **„პასეანსი“** — მამუკა ღლონტი ტ კ „2 არხი“
4. **„რა შეიძლება, რა არა“** — ნინო ჯახუა, ილია ნატროშვილი — საინფორმაციო სატელევიზიო კომპანია.

საუკეთესო მუსიკალური გადაცემა

1. **„შოუ-ბიზ დაიჯესტი“** — დათო ლეჟავა, ნატა ამაღლობელი ტ კ „2 არხი“
2. **„წარმატების თანაავტორები“** — ანი იოსელიანი ტ კ „1 არხი“
3. **„ავანგარდი“** — ზურაბ კიწმარიშვილი ტ ს „რუსთავი-2“

საუკეთესო საბავშვო-საყმაწვილო გადაცემა

1. **„ორატორი“** — გიორგი ებრალიძე, ირმა ხომერიკი ტ კ „2 არხი“
2. **„ტელევეზირი“** — ნოდარ ბეგიაშვილი ტ კ „1 არხი“
3. **„პარიზი“** — თამარ ლეჟავა, ზურაბ ოშხნელი საყმაწვილო სატელევიზიო ცენტრი
4. **„მეტალისტები“** — სალომე დადუნაშვილი საყმაწვილო სატელევიზიო ცენტრი

საუკეთესო სპორტული გადაცემა

1. **„ესტაფეტა“** — შემოქმედებითი ჯგუფი „8 1/2“ ტ კ „იბერვიზია“
2. **„45 წუთი“** — დავით ქლიბაძე ტ კ „1 არხი“
3. **„გოლი“** — ბიძინა ბარათაშვილი, ვახტანგ გეგელია ტ კ „იბერვიზია“

საუკეთესო მუსიკალური კლიპი

1. **„21 გიტარა“** — ვახტანგ მამალაძე, ზურაბ გურგენიძე სტუდია „მეტეხი“
2. **„ატილა“** — გოგიტა ჭყონია სტუდია „კადაგო“
3. **„მძიმე წვიმა“** — მიხეილ მრევლიშვილი ტ კ „1 არხი“
4. **„შედიხარ ტყეში“** — გიორგი ებრალიძე ტ კ „2 არხი“
5. **„ეს მოხდება“** — ნიკა ახვლედიანი სტუდია „მეტეხი“

საუკეთესო სატელევიზიო რეკლამა

1. **სტუდია „მეტეხის“ რეკლამა** — გიორგი ნიკოლაძე, გიორგი გურგულია სტუდია „მეტეხი“
2. **„BASF“-ის რეკლამა** — ზურაბ ხაინდრავა სტუდია „მეტეხი“
3. **„სიგმა-ბანკი“** — გიორგი ებრალიძე, მამუკა ღლონტი ტ კ „2 არხი“
4. **„TBC-TOUR“** — გიორგი შარაძე ტ კ „იბერვიზია“
5. **„ფარმატექსი“** — გიორგი ჭყონია, თამაზ გომელაური ტ კ „TV 7“

სატელევიზიო გადაცემათა საუკეთესო ქუდი

1. **„ტელეკატალოგი“** — თემურ ბანძავა ტ კ „1 არხი“
2. **„იბერვიზიის“ გადაცემათა ქუდი** — გიორგი შარაძე, ლევან კოლუაშვილი ტ კ „იბერვიზია“
3. **„ცოცხალი“** — სერგი გვარჯალაძე ტ კ „2 არხი“

საუკეთესო სატელევიზიო ფილმი

1. **„თრუსოს ხეობა“** — ზურაბ ოშხნელი საყმაწვილო სატელევიზიო ცენტრი
2. **„საქართველოს საგანძური“** — ვახტანგ მამალაძე სტუდია „მეტეხი“
3. **„არაჩვეულებრივი ფაშიზმი“** — მიხეილ ჭიაურელი კომპანია „ქართული ტელეფილმი“
4. **„მორიელის სინდრომი“** — ნანა ღონღაძე „ОСТАНКИНО“

საუკეთესო სატელევიზიო რეჟისორი

1. **დავით ნაკაიძე** — პროგრამა „ალიონი“ საინფორმაციო სატელევიზიო კომპანია
2. **გიორგი გაფრინდაშვილი** — „ვიდეოანონსი“ ტკ „იბერვიზია“
3. **გიორგი ებრალიძე** — გადაცემები „ორატორი“, „ვიდეოთვალი“, „კალენდარი“, რეკლამა „სიგმა-ბანკი“, მუსიკალური კლიპები „შედიხარ ტყეში“ და „ხის მაიმუნი“, კონცერტი „ჰოლივუდის მელოდიები“ ტ კ „2 არხი“
4. **ნიკოლოზ დროზდოვი** — პროგრამა „აუდიენცია“, ტელეფილმი „ერთი ქართველის სამი სიცოცხლე“, გადაცემა „საქართველო — შეხვედრა ბედთან“ ტ კ „PTP“

საუკეთესო სატელევიზიო ოპერატორი

1. **თემურ კალანდარიშვილი** — გადაცემა „რილკე“ ტ კ „1 არხი“
2. **გია ბაზაძე** — ტელეფილმი „მორიელის სინდრომი“ ტ კ „ОСТАНКИНО“
3. **მიხეილ მაღალაშვილი** — ტელეფილმი „სახლი ძველ უბანში“ კავკასიის ტელეკომპანია
4. **ალექსანდრე ირემაშვილი** — გადაცემა „მზერა“ ტ კ „2 არხი“

საუკეთესო სატელევიზიო მემონტაჟე

1. **გია ჭელიძე** — გადაცემა „მიდი, მოდი, მოდა“ ტ კ „1 არხი“
2. **გოგიტა მეცხოვრიშვილი** — გადაცემა „შოუ-ბიზ დაიჯესტი“ ტ კ „2 არხი“
3. **გიორგი გაფრინდაშვილი** — გადაცემა „ვიდეოანონსი“ ტ კ „იბერვიზია“
4. **ზურაბ გურგენიძე** — სტუდია „მეტეხში“ დამზადებული კლიპების, სარეკლამო რგოლების და გადაცემებისათვის სტუდია „მეტეხი“

საუკეთესო სატელევიზიო პროდიუსერი

1. **ნანა დევდარიანი** — ტ კ „დრონი“
2. **გრიგოლ ქობალია** — ტ კ „ოდიში“ (ზუგდიდი)
3. **შალვა მეცხოვრიშვილი** — სტუდია „სტილი“ ტ კ „1 არხი“
4. **მიხეილ კაკულია** — პროგრამა „აუდიენცია“ ტ კ „PTP“.
5. **ჯერგო ბიწაძე** — ტ კ „2 არხი“

საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

1. **„სიტყვის თავისუფლება საქართველოში“** — გიორგი ანთელავა ტ კ „777“
2. **„პატრიოტთა თამაშები“** — ეკა ბერიძე, ნინო ჩაჩუა, გივი თარგამაძე ტ კ „იბერვიზია“
3. **„ბავშვთა კოლონია“** — ილია ნატროშვილი — საინფორმაციო სატელევიზიო კომპანია
4. **„მონიტორი მოსკოვში“** — გიორგი შარაძე, ლევან კოლუაშვილი ტ კ „იბერვიზია“
5. **„აუდიენცია“** — კოკა ყანდიაშვილი ტ კ „PTP“

მაყურებელთა სიმპათიის პრიზი

1. **„პასეანსი“** — მამუკა ღლონტი ტ კ „2 არხი“
2. **„მზერა“** — დავით გოგიბედაშვილი ტ კ „2 არხი“
3. **„შოუ-ბიზ დაიჯესტი“** — ნატა ამაღლობელი ტ კ „2 არხი“
4. **ნინო ჭიჭინაძე** — ტ კ „იბერვიზია“
5. **ივიკო სეხნიაშვილი** — ტ კ „იბერვიზია“
6. **ლევან კოლუაშვილი** — ტ კ „იბერვიზია“
7. **„წარმატების თანაავტორები“** — ანი იოსელიანი ტ კ „1 არხი“
8. **„გინდ დაიჯერე, გინდ არა“** — დალი ფრიდონაშვილი ტ კ „1 არხი“
9. **„აუდიენცია“** — კოკა ყანდიაშვილი ტ კ „PTP“
10. **„სახლი ძველ უბანში“** — გოგოლა კალანდაძე, გიორგი მიქელაძე ტ კ „კავკასია“

ინფორმაცია

საქინფორმის ლენტიდან

ჩემი სახლი ჩემი არსენალია

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 14 სექტემბერს, რუსთავში, ბათუმის ქუჩის ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინეს 2 ტყვიამფრქვევი, 8 ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი, 2 ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ყუმბარა, დაშლილი უნომრო კარაბინი, 10 ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა, 1 ტანკსაწინააღმდეგო მაგნიტური ნაღმი, 8 რადიოსადგური, 5880 ცალი „აკმ-ს" და 7560 „აკ-ს" ვაზნა, ტანკისტის 5 ჩაფხუტი და ასაფეთქებელი მოწყობილობა ელექტროდეტონატორით.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ნაღმზე აფეთქდნენ

ამ დღეებში აფხაზური ტელევიზია, რომელიც ფაქტობრივად ყოველდღიურად ეთერში სოხუმიდან გადის, და რომლის გადაცემების მიღება შეიძლება დასავლეთ საქართველოს რიგ დასახლებულ პუნქტებში, იუწყებოდა, რომ 12 სექტემბერს მდინარე ენგურის თვითნებური გადალახვისას ნაღმზე აფეთქდა ქართველი ეროვნების ორი მოქალაქე. ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა. ცნობაში არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, თუ რომელ დასახლებულ პუნქტში მოხდა ეს და საიდან და საით მიემართებოდნენ ეს ადამიანები. ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა მშვიდობიანი მოქალაქეები ფეთქდებიან მდინარე ენგურის გასწვრივ აფხაზი სეპარატისტების მიერ ჩადებულ ნაღმებზე.

ნაგავს კონტეინერებით გაიტანენ

ქალაქის მერი ნიკო ლეკიშვილი ოთხშაბათობით ატარებს ბრიფინგებს, სადაც განიხილავს ქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობის საკითხებს. შედეგად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს კონტეინერულ სისტემაზე ქალაქის გადაყვანა: უკვე დაიდგა 5000-მდე ნაგვის გასატანი კონტეინერი.

მერის წინადადებით ქალაქში ჩატარდება სისუფთავის ერთთვიური, ყოველი შაბათი და კვირა — გამოცხადებულია სანიტარიულ დღედ.

გაიქცა ექვსი მსჯავრდებული

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 14 სექტემბერს, 02 საათზე შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების პოლკის რუსთავის მეორე ბატალიონის ასეულის სამხედრო მოსამსახურეთა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად, რუსთავის დაწესებულება უი 128/8-ის პერიმეტრის დაცვით კოშკურებს შორის ძირითადი კედლის გადალახვის გზით გაიქცა ექვსი მსჯავრდებული.

ამ ფაქტთან დაკავშირებით სამსახურებრივ შემოწმებას განახორციელებს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს ოპერატიული სამსახური.

ფრთხილად: ციმბირის წყლულია!

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, თეთრწყაროში, 18 სექტემბერს ციმბირის წყლულით დაავადების შედეგად რაიონის საავადმყოფოში გარდაიცვალა სოფელ ალისუბანში მცხოვრები დავით გვენეტაძე.

საავადმყოფოში მოათავსეს აგრეთვე ციმბირის წყლულით დაავადებული მეორე ავადმყოფი.

რაიონის ტერიტორიაზე ხორციელდება ღონისძიებები ავადმყოფობის გავრცელების აღსაკვეთად.

მატარებელი შეეჯახა ავტომანქანას

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 14 სექტემბერს, 20 საათზე, მატარებელი 6852 სამტრედიასთან დაეჯახა ავტომანქანა „რაფს". შეჯახების შედეგად ავტომანქანაში მსხდომი ერთი მგზავრი დაიღუპა, ოთხი — დაშავდა.

გვაცალეთ მუშაობა!

საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები გუნდისა და მისი ხელმძღვანელობის ირგვლივ ვნებათაღელვა არ ცხრება. პირიქით, იგი კიდევ უფრო გაღვივდა მოლდოვასთან ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის ამასწინანდელი შესარჩევი მატჩის წაგების შემდეგ. დამარცხების მიზეზების, ჩვენი ქვეყნის მთავარი გუნდისა და მისი ავ-კარგის, აგრეთვე გულშემატკივართათვის საინტერესო სხვა საკითხების შესახებ გთავაზობთ რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ნოდარ ახალკაცის ნაუბარს.

თბილისში მოლდოველთა გამარჯვება საფეხბურთო ცხოვრებაში უნდა ჩაითვალოს, როგორც არაკანონზომიერი მოვლენა, სენსაცია. ასეთი შემთხვევები ხდება ფეხბურთში. ყველამ ნახა, რომ ამ შედეგს სტუმრებმა ერთადერთი დარტყმით მიაღწიეს.

რა მოხდა?

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ მართალია საერთოდ გავურბივარ მსაჯების გადაწყვეტილებების შეფასებებს, მაგრამ ამჯერად მოხდა არსებითი ხასიათის შეცდომები, რომლებმაც გავლენა იქონიეს შეხვედრის შედეგზე. სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ სათქმელი უნდა ითქვას. როგორც ვიდეოფირის არაერთგზის გასინჯვა და უეფას ოფიციალური დელეგატი ადასტურებს, თურქმა მსაჯმა არ დანიშნა ერთი აშკარა პენალტი ყაველაშვილის მოცელვისათვის და არ ჩათვალა წესების სრული დაცვით შოთა არველაძის მიერ გატანილი გოლი.

ამასთანავე, ნაკრების საბაზო კლუბი — თბილისის „დინამო" სამ ფრონტზე იბრძვის, რასაც დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა ერთვის. ამავე დროს, ბოლო დღეებამდე არ ვიცოდით, დაგვრთავდნენ თუ არა თბილისში თამაშის ნებას.

ამას გარდა, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომლებმაც ნიადაგი მოამზადა ასეთი მოულოდნელი დამარცხებისათვის. კერძოდ, დიდი ხანია ჩვენს პრესაში როგორც სპეციალისტები, ისე ჟურნალისტები მოლდოვას გამუდმებით მოიხსენიებენ, როგორც შესარჩევი ჯგუფის წინასწარ განწირულ აუტსაიდერს. ამ აზრის ხშირი გამოთქმა კი ფსიქოლოგიურად უარყოფითად მოქმედებს არამარტო ჩვენი ნაკრების გამოუცდელ, ახალგაზრდა ფეხბურთელებზე, არამედ მის ქომაგებზეც. ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პუბლიკაციის ავტორი უაზრო წინადადებებით ცდილობს განხეთქილება ჩამოაგდოს ნაკრებისა და ნაკრების საბაზო კლუბის — თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობას შორის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გვთავაზობენ კლუბის მთავარი მწვრთნელის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის კონსულტანტად მიწვევას. ჩემთვის გაუგებარია, თუ რას ნიშნავს კონსულტანტი, რა უნდა დაევალოს მას და რაზე იქნება იგი პასუხისმგებელი. თანაც ეს „იდეა" უშუალოდ მატჩის წინ გამოითქვა... ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ასეთ „სპეციალისტებს" მეც შემიძლია შევთავაზო აიყვანონ კონსულტანტები, რომლებიც მსგავს პუბლიკაციებზე იქნებიან პასუხისმგებელი. ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ფეხბურთის ნებისმიერ მოყვარულს საკუთარი მოსაზრება აქვს შემადგენლობის თაობაზე, მაგრამ შედეგზე მთავარი მწვრთნელია პასუხისმგებელი. წაგვიყენეს კიდევ ერთი ბრალდება — თითქოს ნაკრების თავკაცები არ ინტერესდებიან მთავარი გუნდის კანდიდატთა სპორტული ფორმით და არ ესწრებიან ამა თუ იმ კლუბის შეხვედრებს, რაც არასწორია. მაგალითად, ალექსანდრე ჩივაძე წლეულს, ზამთარში მოსკოვს თან ახლდა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე მოასპარეზე თბილისის „დინამოს". საერთოდ, ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ საქართველოს ნაკრებისა და თბილისის დინამოელთა მესვეურები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან და მათ შორის ნორმალური ურთიერთობაა დამყარებული.

ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებასაც: დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ქვეყნის ნაკრები გუნდების (მათ შორის ეროვნულის) მწვრთნელთა შერჩევის პერიოდში ფედერაციამ დიდი სამუშაო ჩაატარა და ერთი შედეგის მიხედვით სფფ კადრებს არ შეცვლის. ეს მავნე პრაქტიკაა. ნაკრების ხელმძღვანელობა სწორად მართავს საწვრთნელ პროცესს და, ჩემი აზრით, ამაში თვით ფეხბურთელებიც დამეთანხმებიან.

ვიმეორებ: ჩივაძე, როგორც ფეხბურთელი, გამორჩეული პასუხისმგებლობის გრძნობით უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და სამართლიანად იყო კლუბისა და ნაკრების კაპიტანი. მას დიდი გამოცდილება აქვს სხვადასხვა მწვრთნელების ხელმძღვანელობით თამაშის დროს სტრატეგიული ნახაზების შემუშავებაში.

ეროვნული ნაკრები გუნდის სათავეში ყოფნის წელიწადნახევრის განმავლობაში მან არანაკლები გამოცდილება შეიძინა, ასე რომ ამ მხრივ ნაკრების დონეზე ამხელა გამოცდილება არცერთ ჩვენს მწვრთნელს არ გააჩნია. ის ფაქტი რად ღირს, რომ მარტო წლეულს ჩვენმა ნაკრებმა უკვე 10 შეხვედრა გამართა.

უმნიშვნელოვანესი თვისებებით — თავდადებით, პატიოსნებით, ახალგაზრდული ასაკითა და საფეხბურთო ავტორიტეტით გამოირჩევიან მთავარი მწვრთნელის კოლეგა-თანამშრომლებიც, რომლებიც დღენიადაგ ზრუნავენ ცოდნის გაღრმავებასა და გამოცდილების გამდიდრებისათვის. იგივე ახასიათებთ საქართველოს სხვა ნაკრებების დამრიგებლებსაც, რაზეც მათი ბიოგრაფიებიც მეტყველებს. მოკლედ, ეს გახლავთ ერთი თაობის, ერთი სულისკვეთებით გამსჭვალულ თანამოაზრეთაგან დაკომპლექტებული ბირთვი. როგორც სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი და ფედერაციის ეროვნულ ნაკრებ გუნდთა განყოფილების კურატორი, ჩივაძე სწორედ მათ საქმიანობას აკონტროლებს და მისი მონაწილეობით განიხილება სხვა ნაკრებების სტრატეგიაც. გულშემატკივრებს მინდა ვაცნობო, რომ გვაქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, მრავალფეროვანი ვიდეოთეკა და პრესცენტრი. ასე რომ, ნუ ჰგონიათ, თითქოს მოლდოველთა შესახებ ინფორმაცია არ გვქონოდეს.

მე, როგორც სფფ-ს პრეზიდენტი, პასუხისმგებელი ვარ მწვრთნელთა კადრების შერჩევის, დანიშვნისა და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნისათვის. ალბათ იცით, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ ვიტყვი: ნაკრებებს არაერთგზის მოვუწყვეთ შეკრებები, კალენდარში ჩავუსვით საერთაშორისო ტურნირები და ამხანაგური მატჩები, შევუქმენით მაღალი ხარისხის ფორმები, უზრუნველვყავით კვებით... ყველაფერი ეს ხდება სხვების დაუხმარებლად, თანაც დღევანდელ სიდუხჭირეში.

ვფიქრობ, დაგაინტერესებთ ეს ცნობაც: 18 სექტემბერს ალექსანდრე ჩივაძე შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმს მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს უეფას ეგიდით გამართულ ევროპის ქვეყნების ეროვნული ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელთა პირველი კონვენციის მუშაობაში (ცნობისათვის: როგორც უეფას ტექნიკური კომიტეტის წევრი, ამ ფორუმზე მიწვეულია სფფ-ს პრეზიდენტიც. — რედ.).

ახლა კი იმ ძირითად ნაკლოვანებათა შესახებ, რომლებიც ჩვენს ფეხბურთელთა, მათ შორის, ნაკრების წევრთა თამაშში ადვილად შეინიშნება და რომელთა აღმოფხვრასაც სასწრაფოდ უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

პირველი: უამრავი ხელსაყრელი მომენტი მეტოქის კართან უგოლოდ მთავრდება;

მეორე: პრაქტიკულად იშვიათად იყენებენ თავიანთი არსენალიდან შორეული და საშუალო მანძილებიდან აქცენტირებულ დარტყმებს;

მესამე: სტანდარტული სიტუაციები ერთფეროვნად გამოყენება;

მეოთხე: ნაკლებად ვიყენებთ ფლანგებს და შეტევების მიმართულებების მოულოდნელ შეცვლას, რაც იწვევს ტაქტიკური ნახაზის ერთფეროვნებას, ეს კი მოწინააღმდეგეს უადვილებს დაცვის ორგანიზებას;

მეხუთე: თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა იზრუნოს სისწრაფის მომატებისა და ფიზიკური გაძლიერებისათვის;

მეექვსე: ეროვნულ ნაკრებთა დონეზე აუცილებელია ტემპის ცვლა და შეტევების სისწრაფის რეგულირება;

მეშვიდე: გასათვალისწინებელია აგრეთვე მსაჯების რეაქცია უეფას ბოლოდროინდელ ტენდენციაზე უხეშობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაზე, რასაც ჩვენები ჯერ ვერ შეეგუენ (მაგალითად, გაიხსენეთ შელიას გაძევება ავსტრიის „ტიროლთან" მატჩში).

მერვე (ნახევრად ხუმრობით): ფორტუნამაც უნდა გადმოგვხედოს.

დასასრულ, საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის თავკაცებს ეყოფათ უნარი გაწყვიტონ უიღბლობის ჯაჭვი და მოთამაშეებს ფსიქოლოგიური წნეხი მოუხსნან.

საუბარი ჩაიწერა
გია პლატონიშვილმა.

სავაჭრო სამრეწველო კომპანია
„მონარქი"
Monarch
მოსახლეობისგან და ორგანიზაციებისგან იღებს ანაბრებს

ამერიკულ დოლარებში:
ერთთვიანი ხელშეკრულებები 22%-ის დარიცხვით
სამთვიანი ხელშეკრულებები თვეში 24%-ის გატანით
სამთვიანი ხელშეკრულებები სამი თვის ბოლოს 90%-ის დარიცხვით
ოთხთვიანი ხელშეკრულებები ორ თვეში ერთხელ 50%-ის გატანით

რუსულ რუბლებში:
სამთვიანი ხელშეკრულებები სამი თვის ბოლოს 120%-ის დარიცხვით
ექვსთვიანი ხელშეკრულებები (კვარტალურად) 150%-ის გატანით

Monarch
მისამართი:
თავისუფლების მოედანი 7.
ცეკავშირის შენობა,
ოთახი №637
ტელ: 99-68-17, 99-99-32.
ფაქსი: 99-92-57
მუშაობის საათები
10-დან 15 საათამდე,
შაბათ-კვირის გარდა.

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა აგვისტოს თვეში მიიღო დადგენილებები: პურის ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების; ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მუშაობის მოწესრიგების; პროდუქციის თვითღირებულებაში შესატანი დანახარჯების შემადგენლობისა და ფინანსური შედეგების ფორმირების; საქართველოს რესპუბლიკის რეზიდენტ იურიდიულ პირთა სახელმწიფო რეგისტრის დაწესების; ქართული პასპორტების გაცემის კამპანიის დაწყების; საერთაშორისო საზღვაო კონვენციებთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების; საზოგადოებრივი და საბინაო სამშენებლო კოოპერატივების საბინაო ფონდის პრივატიზების დაჩქარების; საქართველოს მწერალთა კავშირის შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის და საინფორმაციო საგამომცემლო კორპორაციის შექმნის შესახებ და მრავალი სხვა.

ყოველ დაინტერესებულ პირს, ვისაც სურს გაეცნოს ზემოთ აღნიშნულ და სხვა სამთავრობო ნორმატიულ დოკუმენტებს მიაკითხეთ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის სპეციალიზებულ ბიბლიოთეკას ილია ჭავჭავაძის გამზ. № 24. ტელ: 22-87-05.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის პრესცენტრი.

ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ქართულ ფონდთან არსებული კოლეჯი აცხადებს საშუალო სკოლის მე-9, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეთა მიღებას კოლეჯში. კოლეჯი საკუთარ მოწმობასთან ერთად გასცემს საშუალო სკოლის ატესტატს.

კოლეჯში საშუალო სკოლის სხვა საგნებთან ერთად გაძლიერებულად ისწავლება ინგლისური ენა და საერთაშორისო პროგრამების შესაბამისად ინგლისურ ენაზე ფიზიკის საფუძვლები, ზოგადი ბიოლოგია, ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია, ზოგადი, არაორგანული, ორგანული ქიმია და ბიოქიმიის საფუძვლები.

კოლეჯში სწავლა იწარმოებს 1 ცვლაში თბილისის 53-ე და 162-ე საშუალო სკოლების ბაზაზე. კოლეჯში მოწვეული არიან სპეციალისტები, რომელთაც საერთაშორისო პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება აქვთ.

კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ სწავლა გააგრძელონ რესპუბლიკის სამედიცინო და ბიოლოგიური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში, ან სცადონ ბედი MCAT (ემქეთ) ტესტის ჩასაბარებლად, რომელიც აშშ სამედიცინო ინსტიტუტებში მისაღები უნიფიცირებული გამოცდაა.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს ვეპატიჟებით ფონდთან არსებული უმაღლესი სამედიცინო სკოლის მოსამზადებელ კურსზე

საბუთების მიღება იწარმოებს 1994 წლის 23 სექტემბრამდე
53-ე საშუალო სკოლაში მისამართით: ქ. თბილისი, ბარნოვის ქუჩა №46,
დილის 10-დან 20 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით: 39-55-09.

პირველი შედეგები

ბანვლილ ოთხშაბათს დაიწყო ფეხბურთელთა ევროთასების გათამაშების მთავარი — ჩემპიონთა ლიგის ტურნირი. საპატიო პრიზისათვის ბრძოლაში ჩაება კონტინენტის 16 უძლიერესი კლუბი. გთავაზობთ პირველი რაუნდის შედეგებს:

„ა" ჯგუფი: „ბარსელონა" (კუმანი, ამორი)—„გალათასარაი" (თურქილმაზი") 2:1.

„მანჩესტერ იუნაიტედი" (გიგზი-2, კანჩელსკისი, ბრიუსი)-„გეტებორგი" (ანდერსონი, ოლსონი) 4:2.

„ბ" ჯგუფი: „პარი სენ-ჟერმენი" (ვეა, ბრავო)-„ბაიერნი" 2:0. კიევის „დინამო" (ლეონენკო-2, რებროვი)-„სპარტაკი" (პისარევი, ტიხონოვი) 3:2.

„ც" ჯგუფი: „ანდერლეხტი"-„სტიაუა" 0:0, „ჰაიდუკი"-„ბენფიკა" 0:0.

„დ" ჯგუფი: „აიაქსი" (რ. დე ბური, ლიტმანენი)-„მილანი" 2:0. „კაზინო"-„აეკი" 0:0.

საპასუხო შეხვედრები ოთხივე ჯგუფში 28 სექტემბერს გაიმართება.

მიულოცეთ დავით მჭედლიშვილს!

ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის 14 სექტემბრის გაფართოებულ სხდომაზე ფედერაციის თავმჯდომარემ აკაკი სიხარულიძემ დაბადებიდან 80 წლისთავი მიულოცა ჟურნალისტიკის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეს, რესპუბლიკის დამსახურებულ ჟურნალისტს დავით მჭედლიშვილს.

შემდეგ იმსჯელა პუბლიცისტისა და მწერლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 150 წლისთავის აღნიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

პრეზიდიუმმა განიხილა გამგეობის სხდომის მოწვევის, ფედერაციის საწევრო გადასახადის ხელახალი განსაზღვრის, ჟურნალისტებისათვის ერთდროული დახმარების გაწევისა და საპენსიო დანამატების ოდენობის გადიდების, ცხელ წერტილებში დაღუპულ ჟურნალისტთა შვილებზე მზრუნველობის საბჭოს, ჟურნალისტური ძიებისა და სამართლის კომისიის შექმნის და ჟურნალისტთა ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და სხვა საკითხები.

ხსოვნა

ვალერიან კიტოშვილი

კიდევ ერთი ბერმუხა გამოაკლდა ქართველ პედაგოგთა რიგებს, კიდევ ერთი თავხე გამოეცალა ქართულ სკოლას — რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ომისა და შრომის ვეტერანი ვალერიან კიტოშვილი.

88 წლისა ისე მოიყარა, ნამოწაფრებს სიბერე და დაძაბუნება არ შეგვიმჩნევია მისთვის, ბოლომდე ისევ ის, ათობით წლის წინანდელი, მხნე და შემართული ვალიკო მასწავლებელი იყო, მკაცრიც და სათნოც, სიტყვაძუნწიც და ენაკვიმატიც, მუდამ კოპწიად ჩაცმულ-დახურული და ამაღლებული. ომის შემდგომი თაობების საბურთალოელებისათვის (მაშინ მთელ საბურთალოზე ერთადერთი ვაჟთა სკოლა იყო — 82-ე საშუალო, დღევანდელი 62-ე) იგი მხოლოდ მათემატიკის მასწავლებელი კი არა, კაცობისა და გულისხმიერების სიმბოლოც იყო.

თითქმის მთელი ცხოვრება 62-ე სკოლაში გაატარა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს ფასანაურსა და საგურამოში მასწავლებლობდა, მერე ომი დაიწყო და იომა, დაბრუნდა და ამ სკოლაში დაფუძნდა. ათასობით ახალგაზრდას გვიწილადა ცოდნა და გულის სითბო. შემთხვევითი არ იყო, რომ მრავალმა სამოცდამეორე სკოლელმა მათემატიკა აირჩია ცხოვრების გზად.

მოსწავლეთა გამორჩევა, ნიჭიერთა განებივრება არ იცოდა, ოღონდ ზარმაცების „მტერი" იყო: იმდენს იზამდა, ყველაზე უიმედოებსა და ხელჩაქნეულებსაც ტვინს გაანძრევინებდა. მისმა ნამოწაფრებმა უკვე ორმოცდაათსა და სამოცს გადავაბიჯეთ, მაგრამ იგი ბოლომდე ჩვენს დამრიგებლად დარჩა.

მშვიდობით, ძვირფასო ვალიკო მასწავლებელო!
აქაც კარგი კაცი იყავ, იქ ნათელი დაგადგეს!

ნამოწაფრები.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა სამძიმარს უცხადებს ბატონ გელა ჩარკვიანს, მამის
კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანის
გარდაცვალების გამო.



თბილისის
სამედიცინო ინსტიტუტი
"საქართველო"

აცხადებს მიღებას შემდეგი სპეციალობების მოსამზადებელ კურსებზე:

1. სამკურნალო საქმე (მეან-გინეკოლოგია, ქირურგია, თერაპია);
2. პედიატრია;
3. სტომატოლოგია;

საბუთები მიიღება
1994 წლის 30 ოქტომბრამდე.

სწავლება კურსებზე იწყება
1994 წლის 1 ნოემბერს.

მიიღებიან მე-11-ე კლასის მოსწავლეებიც.
სწავლება იწარმოებს შაბათ-კვირას.

მისამართი: ქ. თბილისი,
ბუდაპეშტის ქ. N 1.

ტელეფონი: 37 18 29,
38 40 72.

საქართველო SAKARTVELO

უცხოური ენები ყველასათვის!

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხოურ ენათა სახელმწიფო ინსტიტუტთან არსებული უცხოური ენების კურსები გიწვევთ სასწავლებლად ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური და ესპანური ენების შემსწავლელ ჯგუფებში.

კურსების დამთავრებისას მსმენელი მიიღებს შესაბამის მოწმობას. კურსები სამეურნეო ანგარიშზეა.

საბუთების მიღება წარმოებს
1 სექტემბრიდან 15-30-დან 17-30 საათამდე,
შაბათ-კვირის გარდა.
ჩვენი მისამართია: ფალიაშვილის, 34.
56-ე საშ. სკოლის შენობა,

შეიძინეთ!
ქაღალდს რულონებში;
სიგანე 60 სმ ან 84 სმ,
სიმკვრივე 65 გრ/მ²-დან 80 გრ/მ²-მდე.
ტელ: 377.704.

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XXI ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ!

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის XXI ყრილობა, გაიხსნება 1994 წლის 28 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ცეკავშირის სხდომათა დიდ დარბაზში.

დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს 28 სექტემბერს ცეკავშირის შენობაში (თავისუფლების მოედანი 7) დილის 8 საათიდან.

ცეკავშირის გამგეობა.

დაზუსტება

„სრ" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლაში პარლამენტის 13 სექტემბრის სხდომაზე „საქართველოს მთლიანობა, დემოკრატიის განვითარება გარდაუვალია" პირველი გვერდის მეორე სვეტის მეორე აბზაცის ბოლოდან მეორე სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „დღესდღეობით უადრესად საჭიროა 15-20 კანონის მიღება მაინც".

რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველებს.

სარედაქციო კოლეგია.